# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 20 დეკემბერი. 2019 წ. №253 (8919) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


**ფოთელებს დაგვიჯერეთ, ფოთელებს!**



# „ანა რკიანს" – რა უყავით ანაკლიას?

④

## ბათუმის ნავთობტერმინალი პორტს არავის დაუთმობს!

**◉ ზევით გასაგონად!**

# გაზეთს ყოველდღე წაკითხვა უნდა...





**ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს წინა ხელისუფლებასთან, იმ ანტისაზოგადოებრივ პოლიტიკასთან, რასაც თავის აშკარად ანტიეროვნული ხელისუფლება ახორციელებდა. ლაპარაკია, უწინარესად, თვითონ ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილზე, რომელიც თავად ხომ არ კითხულობდა და არ კითხულობდა, და რომელმაც ნულოვანი ტოლერანტობა პირზე დუჟმომდგარმა გამოაცხადა და სხვათაც აუკრძალა გაზეთების კითხვა... მანამდე კი თავს დაესხა გამომცემლობა „სამშობლოს" და ქუჩაში გამოყარა გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიების რედაქციები. იმის მაგივრად, რომ ახალგაზრდა კაცი, ჯერ კიდევ დღემოუჭმელი პრეზიდენტი მშვიდობიანად შეხვედროდა ჟურნალისტებს და ეთქვა, აბა, მხარი მხარს მივცეთ და ერთად ავაშენოთ ჩვენი საყვარელი საქართველოო, პირიქით, თვით შაჰაბასი და ჰიტლერი რომ არ იზამდნენ, ის ქნა და მტრად გაიხადა ათასობით ჟურნალისტი, რომელთა უმრავლესობა მართლაც აპირებდა ახალგაზრდა პრეზიდენტის მხარში დგომას.**

რა მოიგო ამით უგუნურმა და სულსწრაფმა კარიერისტმა სააკაშვილმა? არცრა, წაგებით კი ძალიან ბევრი წააგო. მარტო ერთი ტელევიზიის, კერძოდ „რუსთავი-2"-ის იმედად დარჩენილს ქვეყნის სრული სურათი არ ჰქონდა. პირიქით, თითქმის ყველა გაზეთის სარედაქციო პოლიტიკა ამ პრესის მოძულე პრეზიდენტის წინააღმდეგ იყო მიმართული ყოველდღიური შემართებით და ძირს უთხრიდა, წყალს უყენებდა, ხალხის თვალში ისედაც უკვე დაკნინებულს.

ის კი ისევ თავისას უბერავდა.

დიდად დასანანია, რომ წინა ხელისუფლებისა და, კერძოდ, პრეზიდენტყოფილი სააკაშვილის ამ მანკიერი მხარის ეს მავნე და საზიზღარი ბაცილა, დიდად სამწუხაროდ, ამჟამინდელ ხელისუფლებასაც გადმოედო. ერთი სიტყვით, ლაპარაკი მაქვს პრესის, ჟურნალგაზეთების მიმართ უგულისყურო დამოკიდებულებაზე. აი, თუნდაც ერთი ასეთი მაგალითი... ჩვენმა პრეზიდენტმა ერთ-ერთ თავის ინტერვიუში განაცხადა: **ჩვენ არც ჯარი გვყავს და არც იარაღიო...** ტექსტის წინა ნაწილიდან გამომდინარე, თითქოს ჩანს, რისი თქმაც უნდა პრეზიდენტს, მაგრამ ზუსტად ვერ თუ არ ამბობს სათქმელს... **ჩვენი გაზეთი ორჯერ გამოვიდა ამ ტექსტის დასაზუსტებლად. კერძოდ, ჩვენ ორივეჯერ ვწერდით: ჩვენ არც ჯარი გვყავს და არც იარაღი გვაქვს (და არა გვყავს) საიმისოდ, რომ...** (ჩვენი გაზეთის ორ ნომერში დავბეჭდეთ ეს დაზუსტება).

პატივცემულ პრეზიდენტს რომ წაეკითხა ჩვენი გაზეთის ის ნომრები, ნახავდა, რაც დააკლო თავის ტექსტს და თვითონვე დააზუსტებდა ახალ განცხადებაში. ამისთვის კი საჭირო იყო პრესსამსახურებს იმ დღეების დაიჯესტი მაინც უნდა დაედო იმავე დილით. ეს ეხება ჩვენს უდავოდ ყოჩაღ პრემიერსაც და პარლამენტის თავმჯდომარესაც.

საჭიროა, დროულად გამოვაფხიზლოთ პრესსამსახურები. მარტო თამბაქოს წევით და ყავის სმით საქმე არ უნდა დავაზიანოთ.

**საერთო ეროვნული საქმის გულშემატკივარი**

**გურამ წიკლაური.**



## ილია მეორე: ხშირი შემთხვევაა, როცა ადამიანი იმედს კარგავს და თავს იკლავს

**კაცობრიობა გაჭირვებაშია, ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ადამიანი იმედს კარგავს და თავს იკლავს,** – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზობასთან დაკავშირებით გამართული ქადაგებისას განაცხადა.

**– წმ. ნიკოლოზი გამორჩეული წმინდანია და მას ეწოდება სწრაფად შემწე. შეეწიოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს. ნიკოლოზს ვუწოდებთ ჩვენ ყოველთა ქართველთა დიდ კათალიკოს-პატრიარქს. მე მინდა შეგახსენოთ, რომ გაჭირვებაშია კაცობრიობა. ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ადამიანი იმედს კარგავს და თავს იკლავს. ეს ხდება მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. შევთხოვთ წმ. ნიკოლოზს, რომ შეეწიოს ყველა გაჭირვებულ ადამიანს,** – განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა.

## როცა არასრულწლოვანი თავს იკლავს...

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის ვებგვერდზე დამაფიქრებელი, გულსშემომყრელი ინფორმაცია გამოაქვეყნა. 2019 წლის პირველ 6 თვეში საქართველოში... 10 არასრულწლოვანს მოუკლავს თავი, მათგან 6 გოგონა იყო, 4 კი – ვაჟი – 14-15, 16, 17, 18 წლის მოზარდები. მაგრამ ეს ინფორმაცია სრული რომ იყოს, ისიც უნდა ვთქვათ, რომ იმავე პერიოდში 30 წლამდე ასაკის 51 მოქალაქემაც მოისწრაფა სიცოცხლე, სულ კი თავი მოიკლა ან თვითმკვლელობა სცადა 425-მა მოქალაქემ, მათგან 197 დაიღუპა.**

**სუიციდის შემთხვევები უხვად იყო 2018 წელსაც (399 მსხვერპლი). ასე და ამგვარად, ბოლო წელიწად-ნახევარში 596 მოქალაქე დავკარგეთ.**

**საშინელი ციფრია.**

**საშინელი და დამაფიქრებელი.**

**ბოლო შემთხვევა – 15 წლის მოსწავლის ლუკა სირაძის თვითმკვლელობა ბოლო წვეთია პირამდე სავსე ფიალისა – საქართველოს სად ჰყავს ამდენი დასაკარგავი შვილი!**

**დროა, მართლაც მხარში ამოუდგნენ ერთმანეთს ოჯახი, სკოლა, პოლიცია, საზოგადოება: ცალ-ცალკე ძალიან გაჭირდება მიზნის მიღწევა, რაგინდ სასწაულიც მოახდინოს თითოეულმა მათგანმა.**

**აი, თითქოს პირველ ძაფს გამოჰკრა ხელი გამოძიებამ. დააკავეს (თუ დაკავება მოუნდომეს) პოლიციის ინსპექტორი. მაგრამ ეს აშკარად იმას ჰგავს: ბრბოს რომ ვინმეს მიუგდებდნენ ხოლმე დასაგლეჯად, რათა იგივე ბრბომ თვით ისინი არ დაგლიჯოს.**

**გამოძიება ეს-ესაა დაიწყო და ნუთუ მან უკვე იმდენი უტყუარი სამხილი მოიპოვა, რომ პოლიციის ინსპექტორ ჩოლოიანის ბრალეულობა დადასტურებულად ცნო და საჭიროდ მიიჩნია მისი დაკავება?**

**ესეც ის „ბრბოს" შიშით ხომ არ მოხდა?**

**საერთოდ ამ საქმეში ბევრი რამ არის საკვლევი, ასე იოლად არ არის საქმე. მესმის, რომ გამოძიებას საზოგადოების ხელი აქვს ყელში წაჭერილი. ამ ხელმოჭერაში თანდათან მრავლდება ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წილი, რომლებიც შემთხვევას არ უშვებენ, რომ თავის სასარგებლოდ (ხალხის ასაღელვებლად და გასაბოროტებლად) არ გამოიყენონ ყოველი ტრაგიკული შემთხვევა.**

**ეს მომენტი უკვე აშკარად ჩანს, არის ლაპარაკი დაღუპული ყმაწვილის დაკრძალვის მანიფესტაციად გადაქცევის თაობაზე, სადაც ალბათ „წარმოჩინდება" ლუკას დაღუპვაში „სახელმწიფოს ბრალეულობა".**

**ასე უღირსად ნუ წავეპოტინებით უდროოდ ჩამქრალ სიცოცხლეს.**

**ვითავცემოთ, ცრემლი მოვიწუროთ, დავფიქრდეთ და სხვებიც დავაფიქროთ: მძიმე განსაცდელი გვაქვს გადასალახი – ჩვენს მოზარდებს დავუბრუნოთ მოზარდობა, ცხოვრების ხალისი, რათა მათ თავში არასოდეს გაუელვოთ უკეთური აზრი. არასოდეს წაუცდეთ ხელი არა მხოლოდ მათთვის, არამედ მათი მშობლების, ახლობლებისა და მეგობრებისთვისაც ასე ლამაზი, ასე ძვირფასი სიცოცხლის შესაწყვეტად.**

**სანდრო ალექსიძე**

## თეა წულუკიანი: მკაცრი რეგულაციები კერძო სკოლებსაც უნდა შეეხოთ



იუსტიციის მინისტრის, ვიცე-პრემიერის თეა წულუკიანის განცხადებით, კერძო სკოლების მიმართაც ისეთივე მოთხოვნები უნდა იყოს, როგორიც საჯარო სკოლების მიმართ არის. ამის შესახებ მინისტრმა 15 წლის მოზარდის საქმესთან დაკავშირებით, მთავრობის სხდომის დასრულებ ის შემდეგ განაცხადა. იუსტიციის მინისტრის თქმით, იმის გამო რომ სკოლა კერძოა, განყენებულად არ უნდა იყოს.

**— უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ კერძო სკოლები დაექვემდებაროს იმავე ტიპის მოთხოვნებს, რა მოთხოვნებსაც ექვემდებარებიან საჯარო სკოლები. ეს უნდა იყოს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ფუნდამენტი. ის რომ კერძო არიან, არ ნიშნავს, რომ განყენებულად უნდა იყვნენ და არ უნდა შეეხოთ თუნდაც მკაცრი რეგულაციები,** — განაცხადა მინისტრმა.

## კახა კალაძე: არავის მიეცემა სუიციდის პროპაგანდის შესაძლებლობა!



სუიციდის პროპაგანდის შემცველი ყველა წარწერა წაიშლება, ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

**„წარწერები წაიშლება და არავის მიეცემა სუიციდის პროპაგანდის შესაძლებლობა და უფლება. ეს არის ძალიან სახიფათო, ძალიან ცუდი და კიდევ ერთხელ მინდა მივმართო ყველა იმ ადამიანს, ვისაც აქვს პროტესტი. პროტესტი გამოხატონ, არანაირი პრობლემა არ არის, არავინ ხელს არ შეუშლის მათ, მაგრამ ნუ გააკეთებენ ისეთ რამეს, რაც სახიფათოა ისევ და ისევ ახალგაზრდობისთვის, ჩვენი შვილებისთვის, მომავალი თაობისთვის. დედაქალაქის მერია იმოქმედებს ისე, როგორც სჭირდება ქვეყანას და ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალს“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

## გია ვოლსკი: ოპოზიციის მოთხოვნა სისულელეა



**პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი მიიჩნევს რომ ოპოზიციური პარტიების მოთხოვნა შინაგან საქმეთა მინისტრის ვახტანგ გომელაურის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე სისულელეა.**

ჟურნალისტებთან საუბარში გია ვოლსკიმ 15 წლის მოზარდის გარდაცვალების საქმეზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხელისუფლების ოპონენტები ისევ მავნებლურ რეჟიმში არიან, როგორც გუშინ იყვნენ.

**„მავნებლური რეჟიმი იმას ჰქვია, რომ უბედურებისგან რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური დივიდენდი მიიღო. პრობლემას ვხედავ გაუნათლებლობაში, მათ შორის, ვინც თავის თავს პოლიტიკოსს ეძახის, ჟურნალისტს, ექსპერტს. მოუსმინეთ, ხალხი რას ლაპარაკობს, როგორი ურთიერთობა უნდა გქონდეს ახალგაზრდა თაობასთან გარდატეხის პერიოდში. გერმანიაში სამუშაო ადგილების დეფიციტი კი არ არის, სამუშაო ძალის დეფიციტია. ყოველ წელს, გარდამტეხ პერიოდში, რამდენიმე ასეული ახალგაზრდა თავს იკლავს. ეს გლობალური პრობლემაა და მიდგომა, რომ პიროვნება გამოაჭენო და ყველა ცოდვა ჩამოკიდო, ყველაზე ცუდი გზაა, რაც შეიძლება ავირჩიოთ. თუნდაც, იმ ხანძრის ჩასაქრობად, რაც ყოველი ჩვენგანის გულშია. სისტემა უნდა შეიქმნას. არ შეიძლება, ამ საკითხს მხოლოდ სასჯელით მივუდგეთ. სკოლის დირექცია თავის თავს დამნაშავედ თვლის და ჩვენ რა უფლება გვაქვს, რომ სკოლასა და პოლიციას შორის ვარჩიოთ, ვინ მტყუან-მართალია? დანაშაულისა და სათანადო დამოკიდებულების დეფიციტის დემონსტრირება ყველგან მოხდა. ეს პატარა საქართველოსთვის პრობლემა არ უნდა იყოს, რომ არა, სპეკულაციური გამონათქვამები“...,** — აცხადებს ვოლსკი.

კანონმდებელის თქმით, ისეთი შეგრძნება რჩება, რომ არც ერთ ადამიანს, მჭახე განცხადებების ავტორებს ამ ყველაფერზე გული არ სტკივა და ყველას დივიდენდის მიღება სურს.

## საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია



**საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.**

სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) დახმარებით, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების ჩართულობით, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) აქტიური თანამშრომლობითა და მხარდაჭერით.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებულ პირთა ჩართულობა. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ჩატარდა რამდენიმე საჯარო განხილვა, მათ შორის რეგიონებშიც. საჯარო განხილვებში მონაწილეობას იღებდნენ პრაქტიკოსი ფერმერები, მეწარმეები, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ბიზნესექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

## ქართული კერამიკის წარმოება აღორძინდება

**„ქართული წარმოების კერამიკული ნაწარმი არის ძალიან პერსპექტიული და ჩვენ ამ დარგს განსაკუთრებით დავეხმარებით“ — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მედიასთან საუბრისას განაცხადა.**



მინისტრის ინფორმაციით, სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ აქამდე არსებულ პრიორიტეტულ მიმართულებებს რამდენიმე ახალი მიმართულება დაემატა, მათ შორის კერამიკის წარმოება. „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტის მიმართულებით 2015-2018 წლებში მხარდაჭერილია 6,212 პროექტი, თანადაფინანსების სახით გაიცა 46,9 მლნ. ლარზე მეტი, ხოლო დაფინანსებული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 61 მლნ ლარზე მეტია, სადაც ჯამში დაფინანსებულია 9,384 ბენეფიციარი.

## 88 განმეორებითი აუქციონი გამოცხადდა

**მთავრობის პროექტის — „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“ ფარგლებში, 88 განმეორებითი აუქციონი გამოცხადდა. საუბარია ობიექტებზე, რომლებსაც ამ ეტაპზე, მყიდველი არ გამოუჩნდა. განმეორებითი აუქციონებზე განაცხადების მიღება 8 იანვარს დასრულდება.**

საპრივატიზებო ობიექტები ბიზნესს მთავრობამ 29 ნოემბერს შესთავაზა. მას შემდეგ 26 ობიექტი გაიყიდა და სახელმწიფომ დაახლოებით 41 მილიონი ლარის მობილიზება შეძლო.

გაყიდულ ობიექტებს შორის არის მესტიაში, პრეზიდენტის ყოფილი რეზიდენცია — 7.51 მილიონი ლარი, ბახმაროში მდებარე მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები — 2 538 000 ლარი, თბილისში, ხოშარაულის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები — 10 005 000 ლარი. ქონების ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, რომ საპრივატიზებო სიას ეტაპობრივად ახალი ობიექტებიც დაემატება.

## ქუთაისის აეროპორტში ახალი სამგზავრო ტერმინალი მოწესრიგდა



**ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი სამგზავრო ტერმინალის ფასადისა და შიდა ტიხრების მოწყობის ძირითადი სამუშაოები დასრულდა.**

ასევე დასრულებულია სახურავის მოწყობა. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ე.წ. მწვანე გადახურვის სამუშაოები და ღია ვერანდის მოწყობა. „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, პარალელურად სამშენებლო სამუშაოების მესამე ეტაპი ხორციელდება, რაც საინჟინრო-კომუნიკაციების მოწყობას გულისხმობს. ამის შემდეგ ტერმინალი სპეციალური დანადგარებითა და გათბობა-გაგრილების სისტემით აღიჭურვება.

უახლოეს მომავალში დაიწყება შიდა სარემონტო სამუშაოები და გარე ლანდშაფტის მოწყობა.

ახალი სამგზავრო ტერმინალის მშენებლობის დასრულების შემდეგ აეროპორტს შვიდი გასასვლელი (Gate) ექნება და საათში 1200 მგზავრის შეუფერხებლად გატარებას შეძლებს, შესაბამისად აეროპორტის გამტარუნარიანობა ოთხჯერ გაიზრდება.

## წინასაახალწლოდ ხე-მცენარეების მოპოვებაზე კონტროლი მკაცრდება

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, წინასაახალწლოდ, ხე-მცენარეების მოპოვებაზე, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციაზე კონტროლს, საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებულად იმ რეგიონებში, სადაც წიწვოვანი ტყეებია, 24-საათიან რეჟიმში განახორციელებს.**

უწყების ინფორმაციით, წიწვოვანების კანონიერად მოსაპოვებლად, რამდენიმე გზა არსებობს. წიწვოვანი ხე-მცენარეების კანონიერად მოპოვება და რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოპოვებულია სანერგეებში (მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ველური ბუნების სააგენტოს“ სანერგეში), პლანტაციებში, საკარმიდამო ნაკვეთებში ან იმპორტირებულია.

ასეთ შემთხვევაში, რეალიზატორმა უნდა წარმოადგინოს ხე-მცენარის კანონიერად ფლობის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი. თუ წიწვოვანი მცენარე მოპოვებულია კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან ხელოვნურად გაშენებულ სანერგეში, მცენარეების ტრანსპორტირებისთვის სავალდებულოა მათი ადგილწარმოშობის ცნობა, რომელსაც გასცემს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობა.





# ამორ-ქალები საკრებულოში

**გამოიკვეთა: რაკი ბრძოლის გენერალური ხაზი ჩაფიქრებულ შედეგს არ იძლევა, საჭიროა მისი პატარ-პატარა გადახვევებით დატვირთვა, რათა საშიში სიცარიელე ამოივსოს და ღრიანცელი არ შეწყდეს.**

სამშაბათს სწორედ ერთი ასეთი გადახვევა მოეწყო. უცებ აღმოჩნდა, რომ თურმე ქვეყნის ცხოვრებაში მთავარი ის არის, თუ რა თქვა თბილისის საკრებულოს წევრმა ერეკლე კუხიანიძემ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილზე..

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ახლავე ვიტყვი, რომ, რაც კუხიანიძემ ექიმ გაფრინდაშვილს და მის ოჯახს დააბრალა (პროვოკატორობა), უსინდისობა, უზნეობა და მართლაც პროვოკატორობაა, ოღონდ თვით კუხიანიძის მხრიდან და პატრონი რომ იყოს, ენა უნდა ამოაგლიჯო.

მთავარი ის არის, რომ ეს სკანდალური ამბავი — ვინმე ტუტუცი კაცის ტუტუცური განცხადება პირდაპირ შუბლზე დაიწერეს ნაცებმა და ორი გააფთრებული მდედრის „პოლიციის დიდი რეფორმატორის" ხატია დეკანოიძის და ხმაურიან ამბებში „ვსეგდა გატოვი" ელენე ხოშტარიას თაოსნობით თბილისის საკრებულოს „მიუხტნენ და თავს დააქციეს ბანია". ტელევიზიებსაც მეტი რა უნდოდათ, „ცხელ ადგილში" მთელი ლაშქარი გაგზავნეს ჟურნალისტ-ოპერატორებისა და ისეთი ამბავი ააგრიალეს, თქვენი მოწონებული — მთელი გუშინდელი დღე საშინელი ღრიანცელი ისმოდა ტელესივრცეში, თითქოს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქართველოში არაფერი ხდებოდეს...

საკრებულოში გამოჭერილი იქაური დამფრთხალი მუშაკების მთავარი ინკვიზიტორები ქალბატონები ხატია და ელენე მრისხანე შეკითხვებს მუჭით აქეთ-იქით ისროდნენ და ჩვენი უკულმართი ცხოვრების მთავარი დამნაშავის, ამ კუხიანიძის ზღარბზე დასმას მოგანდომებდნენ.

პირველი, რაც აინტერესებდათ შემოჭრილ ამორძალებს და მათ თანმხლებ ვიკინგებს, ეს იყო: როდის გააგდებთ საკრებულოდან ჩათლახ კუხიანიძესო.

ძალიან ტკბილად აუხსნეს, ჩვენ შეგვიძლია თანამდებობიდან გავათავისუფლოთ ის კაცი, მაგრამ არავითარი უფლება არ გვაქვს საკრებულოდან გავაგდოთ, კანონია ასეთიო.

მაგრამ გაგიგონიათ? როგორც ყველა ტვინგადაბრუნებულის მამიდა მიშა სააკაშვილის წარდგინებიდან ვიცით, ხატია დეკანოიძე არის მოღვაწე, რომელმაც მოძმე უკრაინას პოლიცია შეუქმნა, სავარაუდოდ, სამართალდამცავი ორგანოების კანონმდებლობით ერთ, მაგრამ თბილისის საკრებულოს ხელმძღვანელებს დიდი დრო და მონდომება დასჭირდათ, რათა ამ თურმე ჭკუით გაძეძგილი ქალბატონისთვის შეემეცნებინათ, რომ არჩევითი ორგანოს წევრის გათავისუფლება ასე დალი ჰასანივით მიხტომით არ წყდება (მეორე დღეს საკრებულოს უმრავლესობამ თავისი რიგებიდან გარიცხა ერეკლე კუხიანიძე, ანუ გააკეთა უმაღლესი, რის უფლებაც ჰქონდა)...

ახლა ერთ-ორი სიტყვა საკრებულოს ოპოზიციონერ წევრ ლევან ხაბეიშვილზეც უნდა ითქვას, ხატიასა და ელენესი არ იყოს, ისიც მძლავრად აწვებოდა რქებით, ოღონდ — გარეთ ქუჩაში. სადღაც კიბე იშოვა და ჩაკეტილ საკრებულოში ფანჯრიდან მოინდომა შესვლა, აცინა და აღადავა ხალხი. ერთი სიტყვით, შიგნიდან თუ გარედან მორუზრუზე ოპოზიციამ ის სამუშაო დღე გულუხვად ჩაშალა თბილისის საკრებულოში, ოღონდ არ ვიცი, რა სანქცია არსებობს ამისთვის.

დაგოლოს, გუშინ „ტვ პირველის" და ინგა გრიგოლიას გულაჩუყებული ჩაწოდებით ერთობ გახმიანდა ფრაზა „ამ ცხოვრების დედაც!", რომელიც ტრაგიკულად დაღუპულ 15 წლის ლუკა სირაძეს ეკუთვნის, რომელსაც გულმხურვალედ დასტირის მთელი საქართველო.

ერთი სიტყვით, მართლაც ამ ოპოზიციის, ამ ცხოვრების დედაც!..

**ალეკო ასლანიშვილი**

## ვლადიმერ პუტინი უარყოფს!



**„მიმდინარეობს საუბარი ჩეჩნეთის გავლით საქართველოსკენ გზის მშენებლობაზე. ეს მოაგვარებდა სტრატეგიულ საკითხებს. რას ფიქრობთ ამაზე და რამდენად მომგებიანი გგონიათ როგორც რუსეთისთვის, ისე საქართველოსთვის",** — მიმართა ჟურნალისტმა პუტინს. როგორც რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, გზის მშენებლობა კარგი იდეაა და მისი განხორციელებაც შესაძლებელია.

**„ნამდვილად არის პრობლემა საქართველოსთან კომუნიკაციაში, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც ყველაფერი თოვლითაა დაფარული. რაც თქვენ თქვით, კარგი იდეაა, მაგრამ ეს ტრანსპორტის სამინისტროს პრაქტიკულ პროექტებში არ არის. თუმცა ვიმეორებ, ამ იდეის შესახებ ცნობილია და პრინციპში, ის განხორციელებადია",** — აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა.

## საქართველოსთვის უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა რუსეთია, ხოლო უმსხვილესი იმპორტიორი – თურქეთი

საქართველოდან 2019 წლის იანვარ-ნოემბერში ყველაზე მეტი ექსპორტი რუსეთში განხორციელდა.

**საქსტატის წინასწარი ინფორმაციით, ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 72.9 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რუსეთი (454.0 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (444.6 მლნ. აშშ დოლარი) და სომხეთი (353.9 მლნ. აშშ დოლარი).**

**ამასთან, წინასწარი მონაცემებით, იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 65.8 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 448.6 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (868.0 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (785.3 მლნ. აშშ დოლარი).**

**2019 წლის იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.8 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან თურქეთი (1 633.1 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1322.0 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (982.4 მლნ. აშშ დოლარი).**




# საარსებო მინიმუმი უნდა გაორმაგდეს!

**2019 წლის ნოემბერში, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 2.7 ლარით გაიზარდა. ნოემბერში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 195.6 ლარს შეადგენდა მაშინ, როცა ოქტომბერში ეს მაჩვენებელი 192.9 ლარი იყო. მაჩვენებელი თანდათან უახლოვდება 200-ლარიან ზღვარს, მაგრამ სპეციალისტები მის გაორმაგებას ითხოვენ. ტოტალური სიძვირის პირობებში, სრულიად შეუძლებელია ადამიანმა ამ თანხით 2 კვირაზე მეტხანს თავი გაიტანოს.**

„საქსტატის" მონაცემებით, ოქტომბერთან შედარებით, ნოემბერში 2.5 ლარით გაიზარდა საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი და 173.3 ლარი შეადგინა, 4,6 ლარით გაიზარდა საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმიც და 328.1 ლარი გახდა. აღსანიშნავია, რომ საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 2018 წლის ნოემბრის მონაცემთან შედარებით, 35.6 ლარით არის გაზრდილი.



სტატისტიკოს **სოსო არჩვაძის** თქმით, საარსებო მინიმუმის 195 ლარამდე ზრდა არ ნიშნავს იმას, რომ იგი ასახავს იმ სამომხმარებლო ხარჯების რეალურ ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ერთი თვის მანძილზე შრომისუნარიანი მამაკაცის აუცილებელი ხარჯების დასაფარად. მიუხედავად იმისა, რომ საარსებო მინიმუმი იზრდება, იგი რეალურად აღარ არის საკმარისი ადამიანის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**„ფაქტობრივად, ახლანდელი საარსებო მინიმუმი სიღატაკის ზღვრის ქვედა, ძალიან დაბალი დონის მაჩვენებელია და არასწორ იმპულსებს უგზავნის ხელისუფლებას, მედიას, საზოგადოებას და ა.შ. ჩვენ ეს მაჩვენებელი კი არ უნდა უარვყოთ, არამედ მისი შინაარსი თანდათან უნდა დავუახლოვოთ სიღარიბის ზღვრის თვისობრივ შინაარსს.**



**დღეს საარსებო მინიმუმში 70% უკავია სურსათს და 30%-ს ყველა დანარჩენ ხარჯს. ეს არის ნონსენსი, როგორ შეიძლება 70% იყოს სურსათი, მაშინ როდესაც უკიდურესი ღარიბი მოსახლეობის სურსათის ხარჯები არ აღემატება 45-50%-ს. ეს ისტორიულად შემოგვრჩა 1990-იანი წლებიდან და დღემდე არ შეუცვლიათ. 4-5-ჯერ შეიცვალა კონსტიტუცია, საგადასახადო კოდექსი, აბსოლუტურად სხვა ფასეულობებზე ავიღეთ ორიენტაცია და ეს 70%-30%-ზე თანაფარდობა ისევ ძალაშია... უხერხულია... ახალ ვითარებაში ვცხოვრობთ, ეკონომიკური შესაძლებლობები საზოგადოებას გაეზარდა და ჩვენ კიდევ 1995 წლის თანაფარდობით ვსაზღვრავთ საარსებო მინიმუმს. 70% უნდა ჩამოვიყვანოთ სულ მცირე 50%-ზე",** — განუცხადა „ბიზნეს მედიას" არჩვაძემ.

მან ასევე სურსათის კომპონენტში ცხოველური წარმომავლობის კალორიების რაოდენობის ზრდის მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი.

**„სურსათში დამახინჯებულია და დარღვეულია ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების კომპოზიცია. ცხოველური წარმომავლობის კალორიების რაოდენობა არის ძალიან დაბალი და უნდა გაიზარდოს. ეს მოგვცემს იმას, რომ ერთი კალორიის ღირებულება 5-6-ჯერ და მეტჯერაც უფრო ძვირია, ვიდრე მცენარეული წარმომავლობის პროდუქციის კალორიების რაოდენობა. რომ ავიღოთ, მაგალითად, საქონლის ხორცი, დაახლოებით 15-ჯერ უფრო ძვირი ჯდება 1000 კილოკალორიის მიღება, ვიდრე პურიდან. ანუ შეგვიძლია პურზე გადავიყვანოთ და ღირებულება შევამციროთ, მაგრამ ეს იქნება დარღვევა.**

**ამიტომ სასურსათო კალათის დაბალანსება უნდა მოხდეს, რაც გამოიწვევს ღირებულების გაზრდას. ამგვარად, ორნახტომიანი სვლა უნდა გავაკეთოთ: გავზარდოთ სასურსათო კალათაში ცხოველური წარმომავლობის პროდუქციის რაოდენობა, რათა აქედან მიღებული კალორიების რაოდენობა იყოს დაახლოებით 50-60% და მეორე — სურსათის გაძვირებულ კალათას დავუთმოთ არა 70%, არამედ 50%. შედეგად ახლანდელი მაჩვენებელი — 195 ლარი, სულ მცირე, უნდა გაორმაგდეს, დაახლოებით 390-400 ლარის ფარგლებში. ეს იქნება შედარებით რეალური მაჩვენებელი",** — განმარტა სოსო არჩვაძემ.

„საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ის ერთგვარი სოციალური ორიენტირია მოქალაქეთა ნაკლებადუზრუნველყოფილი ნაწილის განსაზღვრისა და მიზნობრივი სოციალური პოლიტიკის გატარებისათვის. სწორედ ამ მაჩვენებლის მიხედვით განისაზღვრება ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა სოციალური გასაცემლების მინიმალური ოდენობა.

საარსებო მინიმუმის ფორმირებას საფუძვლად უდევს შრომისუნარიანი კაცის სასურსათო კალათა, რომელიც 40 დასახელების პროდუქტს მოიცავს და ჯამში 2300 კილოკალორიას შეადგენს.

**ბექა დანელია**

# „ანა რკიანს“ – რა უყავით ანაკლიას?

**საუბრები ანაკლიის პორტის მშენებლობაზე ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური ხდება. ცხარე დებატები და საწინააღმდეგო აზრები ზღვაში ამოვარდნილი შტორმივითაა, აზვირთებული ტალღები გზას იკვლევენ ნაპირისკენ, აქ კი ეხეთქებიან ჯებირს და შხეფებად ქცეულნი ძალადაკარგული, ნაცემი ლეკვივით, ძლივს გასაგები შხუილით ბრუნდებიან უკან.**






ზუსტად ასევე ტალღის შხეფებივით იმსხვრევა ერთ დროს დიდი ზარ-ზეიმით დაანონსებული ანაკლიის ნავსადგური. საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები ძალ-ღონეს არ იშურებენ და ჯიუტად გვიმტკიცებენ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური ყველა შემთხვევაში მაინც აშენდება.

მასმედიაში გამოქვეყნებული წერილებით თუ ვიმსჯელებთ, კაცს ეჭვი შეგეპარება ამ გეგმის განხორციელებაშიც და მის მიზანშეწონილობაშიც.

ისტორიული ინტერპრეტაციით ანაკლია მეგრული „ანა რკიანსი“-სგან წარმოიშვა. დედას შვილები გაუყიდეს და მან კივილი მორთოო.

დღეს „დედა ანა“ სულ სხვა რამის გამო კივის და გმინავს. ანაკლია ათხარეს და გადათხარეს, მილიონობით კუბმეტრი მიწა ზღვიდან ამოიღეს და ნაპირზე გორებად დაახვავეს, ადგილობრივი მცხოვრებლები ფუძიდან აყარეს, აქაოდა, ჯერარნახულ, არგაგონილ ღრმაწლოვან ნავსადგურს ვაშენებთ, რომელმაც საქართველო უნდა გადაარჩინოსო. ნავსადგურის მშენებლობა კი დაიწყეს, საზეიმო ლენტიც გაჭრეს, მაგრამ მის გაგრძელებას პირი არ უჩანს და როგორც ისახება, ახლა უკვე პატრონიც არ ჰყავს. „დო რკიანს ანაკლია: რა უყავით ანაკლიაო?“

ხუმრობა იქით იყოს და ძალიან უჭირს ანაკლიაში დაანონსებულ საუკუნოვან ღრმაწყლოვანი ნავსადგურის აშენების პროექტს. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით გადაწყვეტილი და ნათელი პასუხი ამ საკითხზე მთავრობასაც არა აქვს.

არადა, დაგეგმილი იყო პორტის პირველი ეტაპი უკვე მომავალ წელს შესულიყო ექსპლუატაციაში. მთავრობამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა წლის ბოლომდე გადადო. სწორი გადაწყვეტილებაა. საშუალება მიეცემა, ახალ წლამდე იფიქროს, ეგება რაღაც უკეთესობისკენ შეიცვალოს. საზოგადოებასაც საშუალება მიეცემა, ახალ წლამდე იფიქროს, როგორ უკეთესად გადაწყდეს ანაკლიის 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის ნავსადგურის მშენებლობა.

უნებლიეთ ფიქრი ჩნდება — ცოტა გვიანი ხომ არ არის ამ საკითხზე ფიქრი?

მოვუსმინე „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გენერალური დირექტორის ლევან ახვლედიანის გამოსვლას საქართველოს პარლამენტის კომისიის სხდომაზე პორტის მშენებლობის საკითხის განხილვისას. მის ინტერვიუსაც გავეცანი გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (№44, 28 ოქტომბერი-3 ნოემბერი, 2019 წელი) და იმდენად დაზეპირებული ფრაზებით პასუხობს კითხვებზე, რომ გაუგებარია, თუ რისთვის არის საჭირო ამხელა გიგანტური ნავსადგურის მშენებლობა საქართველოში.

იბადება მარტივი კითხვა: საიდან ელოდებიან და რა ტვირთია ეს 100 მილიონი ტონა ტვირთი? გასაგებია, კონტეინერებით შემოვა, ფუთაც იქნება და ნაყარიც, მაგრამ სახელდობრ, ფიზიკურად რა ტვირთია ეს?

ამ კითხვაზე და ეს მთავარი კითხვაა, მზა პასუხი არავის არა აქვს. გასაგებია, რატომ!!!

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ საქმიდან ისე ჩანს, რომ დამფუძნებლის მთავარი მიზანი მხოლოდ ნავსადგურის აშენება და აქედან საკმაოდ დიდი სარგებლის მიღება გახლავთ, თორემ ვისი სახსრებით აშენდება და ვინ როგორ ექსპლუატაციას გაუწევს, სულ ფეხებზე არ ჰკიდიათ?

ეს ასე რომ არ იყოს, ეგრე მოუმზადებლად და მოუწესრიგებლად, ძირითადი საკითხების მოუგვარებლად მშენებლობას არავინ დაიწყებდა. მაგრამ მშენებლობას უძღვებოდნენ რესპუბლიკის ისეთი ძლიერი ხელმძღვანელი პირები, რომელთათვის კანონის დარღვევა მაინცდამაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, კი ეს გაცხადებულ თაღლითობას უფრო ჰგავს, ვიდრე გეგმაზომიერ მიზანმიმართულ ქმედებას.

ჯერ კიდევ 2016 წლის 5-12 ივლისის ნომერში გაზეთმა „ილორმა“ გამოაქვეყნა მამხილებელი წერილი „მორიგი სამთავრობო ბლეფი ანაკლიაში“, სადაც საუბარია დაშვებულ შეცდომებსა და დარღვევებზე, მაგრამ ხელისუფალნი თავიანთ თავს ხომ არ გაკიცხავდნენ?!

არა, ბატონებო, ასე ამჩატება არ შეიძლება.

ანაკლიის ნავსადგურმა რომ გაამართლოს თავისი დანიშნულება და რენტაბელურად იმუშაოს, აქ ყოველდღიურად უწყვეტ რეჟიმში უნდა შემოვიდეს რამდენიმე სახეობის (3-5 მაინც) ტვირთნაკადი. მაგალითად, ბამბა, ხორბალი, ქვანახშირი, მადანი, ნავთობი, სხვა თხევადი ტვირთები.

წელიწადში 100 მილიონი ტონა ტვირთი რომ გადაამუშაოს ნავსადგურმა (იგულისხმება ტვირთის შემოტანა-გატანა), მან ყოველდღიურად (365 დღე-ღამე)უწყვეტ ნაკადში უნდა გადაამუშაოს სულ ცოტა 2740 ტონა ტვირთი. არახელსაყრელი ამინდებისას მოცდენების გამო გადასამუშავებელი ტვირთის წონა კიდევ უფრო მეტი იქნება. ამ ტვირთის გატარების ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას არა მარტო ადგილზე, არამედ ტვირთის გადაადგილების მრავალათას კილომეტრიან პერიმეტრზე სხვადასხვა ქვეყნებში. ჯერ მარტო კასპიის ზღვის ყაზახეთის, თურქეთის, ირანისა და აზერბაიჯანის ნავსადგურებმა ძირითადად ანაკლიაზე უნდა იმუშაონ. დამიჯერეთ, ეს ასე ადვილი გასაკეთებელი არაა, ბნი ლ. ახვლედიანი რომ ფიქრობს.

ჯერ მარტო საქართველოში შექმნილ ინფრასტრუქტურაშია ბევრი სიძნელე და მოუგვარებელი საკითხები: გზა, ტრანსპორტი, ელმომარაგება და სხვა.

ყველაფერი რომ მოეწყობა და სიძნელეები დაიძლევა, ერთი კითხვა მაინც რჩება პასუხგაუცემელი, საიდან მოაქვთ ამ გიგანტ ნავსადგურში ტვირთი? სად არის გარანტია, რომ ანაკლიაში 100 მილიონი ტონა ტვირთი შემოვა.

ხომ არ შეიძლება, აშენდეს გიგანტი და სულ რაღაც 2-3 ათეულ მილიონ ტონა ტვირთზე იმუშაოს, თუმცაღა დღეს ესეც დიდი პრობლემაა.

ცნობისთვის: ფოთისა და ბათუმის ნავსადგურები დღეს მხოლოდ 10-12 მილიონ ტონა ტვირთს ამუშავებენ. ზღვით გადასაზიდი ამაზე მეტი ტვირთი საქართველოში არ შემოდის.

ერთსაც ვიტყვი: ჩვენი ქვეყანა ფეხბურთისადმი დიდი სიყვარულით გამორჩევა, მაგრამ ვინმე ბედოვლათმა რომ შემოგვთავაზოს თბილისში „მარაკანას“ ტოლა სტადიონს აგიშენებთო, საინტერესოა, როგორი იქნება ჩვენი რეაგირება?

ერთი შეხედვით, ეს რა საკითხავია, მაგრამ რომ დაუკვირდები და განსჯი, თუ როგორ შეავსებ მაყურებლით და როგორ მოუვლი ამხელა სტადიონს, უმალ მიხვალ ჭეშმარიტ დასკვნამდე — „მარაკანას“ სიდიდის სტადიონი საქართველოს არ სჭირდება. უბრალოდ, ვერ მოვუვლით სახსრების სიმწირისა და ბევრი სხვა მიზეზის გამო ვერ მოვერევით.

თუ დაგვიჯერებთ ფოთელებს, „მარაკანას“ მსგავსი ფენომენი ნავსადგურიც არ სჭირდება საქართველოს.

არ არის და საქართველოში შეიძლება, არც არასდროს იქნეს ზღვით გადასაზიდი 100 მილიონი ტონა ტვირთი.

მაგრამ, რადგანაც ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობაზე უკვე დიდი სამუშაოებია ჩატარებული და დიდი ხარჯიცაა გაწეული, უპრიანი იქნება, დავკმაყოფილდეთ ამ მშენებლობის პირველი ეტაპით და ეს სავსებით საკმარისი იქნება. ფოთი, ბათუმი, ანაკლია და სხვა პატარა პორტები სავსებით დააკმაყოფილებს „აბრეშუმის გზის“ და საქართველოს ზღვით ტვირთგადაზიდვის ყველა პრობლემას. აუცილებლობის შემთხვევაში ფოთისა და ანაკლიის ნავსადგურებს გაფართოებისა და ტვირთგადამუშავების გადიდების კარგი საშუალებები აქვთ.

**რაც შეეხება ფოთის ნავსადგურს, ნიშნის მოგებით იმასაც ვიტყვი, რომ ის თავის ნიშას არ დაკარგავს, კიდეც გაფართოვდება, ღრმაწლოვანიც იქნება, უფრო კეთილმოეწყობა, მეტ ტვირთსაც გადაამუშავებს და ქვეყანასაც მეტს არგებს.**

**ეს კარგად გაიგონ იმათ, ვინც დღეს ფოთის ნავსადგურის გაფართოების წინააღმდეგ გამოდის და უცხოელი (ამერიკელი) ინვესტორის მიერ გამოყოფილი 50-მილიონიანი ინვესტიცია და ნიკო ნიკოლაძის ქალაქში მიმდინარე ალმშენებლობა „თამაში“ ჰგონია!..**

**ომარ ხუხუნი,**
**ქ. ფოთის საზოგადოებრივი დარბაზის თავმჯდომარე.**

# ბათუმის ნავთობტერმინალი პორტს არავის დაუთმობს!

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სომხური მხარის მიერ ბათუმის პორტის შესაძლო შესყიდვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.

**„სომხური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და ბათუმის პორტი 49-წლიანი იჯარით მართვის უფლებით გადაცემული აქვს შპს ბათუმის ნავთობტერმინალს“.**

სომხური მედიის ცნობით, **„სომხური მხარე ბათუმის საზღვაო პორტის შესყიდვით არის დაინტერესებული, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ 600 მლნ აშშ დოლარად გაიტანა გასაყიდად“.**

**„სხვადასხვა წრეები სომხეთში ცდილობენ, მოახდინონ სახსრების შეგროვების ორგანიზება პორტის შესაძენად, რითაც ქვეყანაში ტვირთების თავისუფალი ტრანსპორტირება იქნება უზრუნველყოფილი. ჩვენი წყაროების ცნობით, განიხილება სააქციო საზოგადოების შექმნის იდეა, რომელშიც დიასპორების წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან. საქმის წარმატებისთვის აუცილებელია, ვინმემ სასტარტო თანხის ინვესტირება მოახდინოს, თუმცა ჯერჯერობით ასეთი არ ჩანს“** — წერს გაზეთი „ჟამანაკი“.



სომხეთზე, რომელსაც ზღვაზე თავისი გასასვლელი არ გააჩნია, ვრცელდება „ღია ზღვის შესახებ“ გაეროს 1958 წლის კონვენცია, რომელშიც პირველად განმტკიცდა შემდეგი დებულება: შიდაკონტინენტურ სახელმწიფოებს ზღვასთან თავისუფალი წვდომა უნდა ჰქონდეთ და ამ მხრივ სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით ზღვაზე წვდომის მქონე ქვეყნებთან.

კონვენციის პრეამბულის თანახმად, ეს უკანასკნელები ვალდებულები არიან, უზრუნველყონ თავისუფალი ტრანზიტი თავისი ტერიტორიის გავლით ქვეყნისათვის, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია.

**„აქცენტი“**

◉ წერილი ყველას გასაგონად

# პროფესიონალთა გუნდი


გიგა ფარფალია (მარცხნიდან), ეკა ზოდელავა, ლექსო ლაგვილავა

მკურნალი, ექიმი, დასტაქარი — ეს ის პროფესიაა სხვისი ტკივილის გათავისებასა და პაციენტისადმი გულისხმიერებასთან რომ ასოცირდება. ექიმი დიდი იმედია არა მარტო ავადმყოფისთვის, არამედ მისი პატრონისთვისაც. ამიტომაც ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები არა მხოლოდ მკურნალობენ, არამედ თავიანთი ჯადოსნური სიტყვითაც ამხნევებენ.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს დროებას, შესაძლოა, ბევრი ასეთი მკურნალი აღმოვაჩინოთ, მაგრამ მე დღეს მადლიერებით მინდა მოვიხსენიო კავკასიის მედიცინის ცენტრის (ყოფილი „ლეჩკომბინატი“) მედპერსონალი, რომელთა კეთილსინდისიერი პროფესიული საქმიანობა მისაბაძია და მინდა, ყველასთვის გადამდები იყოს.

მოულოდნელად დამჭირდა ქირურგიული ჩარევა, ცოტას ვღელავდი, მაგრამ ... ოპერაცია გამიკეთა სამსახურის ხელმძღვანელმა ლექსო ლაგვილავამ, რომელსაც ეხმარებოდა ქირურგი გიგა ფარფალია. ოპერაცია ჩატარდა უმაღლეს დონეზე და მესამე დღეს გამომწერეს საავადმყოფოდან. ეს მათთან ერთად ამ ცენტრის შესანიშნავი მედპერსონალის დამსახურება იყო, მაგრამ არ შემიძლია, არ გამოვყო ბატონი ლექსო, ეს გამორჩეული პიროვნება, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, მუდამ ახლის ძიებაში მყოფი და ადამიანის ჯანმრთელობაზე მზრუნველი. ასევე არ შემიძლია, უდიდესი მადლიერება არ გამოვხატო მთელი კოლექტივის მაღალი პროფესიონალიზმის წინაშე და გულწრფელი მადლობა არ ვუთხრა გიგა ფარფალიას, ეკატერინე ზოდელავას, გიორგი ხვადაგიანს, სოსო დარსალიას, ეკატერინე დაუშვილს.

კიდევ ერთხელ და მრავალგზის მადლობა თქვენ გამოჩენილი ყურადღებისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს მადლობას შემოუერთდება ძალზე ბევრი მადლიერი პაციენტი, რომლებმაც მიიღეს თქვენი კოლექტივის საუკეთესო მომსახურება.

ქალბატონებო და ბატონებო, მინდა, წინსწრებით მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი და გისურვოთ შემდგომი წარმატებები.

მინდა, გაუმრავლდეს ჩვენს ქვეყანას კავკასიის სამედიცინო ცენტრის თქვენებრ ღირსეული თეთრხალათიანები.

**ჯემალ გაბელია,**
**სამართლის დოქტორი, პროფესორი**

# წინასაახალწლო მადლობა

**წერილის დაწერამდე ბევრი ვიფიქრე, დამეწერა თუ არა ეს წერილი. ქვეყანა არეულია, ხალხი სულიერ თუ ხორციელ შიმშილს განიცდის, პრესაში არასასურველი, არასასიამოვნო წერილები იბეჭდება, ასევე არასასიამოვნო ამბები გვესმის ტელეეკრანებიდან, მაგრამ ამის უთქმელობაც არ შეიძლებოდა.**

რამოდენიმე თვის წინათ სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადამიყვანა საავადმყოფოში (შეგნებულად არ ვასახელებ), სადაც მიმღებშივე ვიგრძენი მათ მიერ არაჯანსაღი დამოკიდებულება არამარტო ჩემ მიმართ. იქ გატარებული სამი დღე ჯოჯოხეთად გადამექცა მედპერსონალის უდიერი დამოკიდებულების გამო.

ჩემი ჯანმრთელობის გამოისობით ხშირად კონსულტაციები მიწევს სხვადასხვა დარგის ექიმებთან. საზოგადოებას მინდა, გავაცნო და პატივისცემით მოვიხსენიო ნიჭიერებით, სიყვარულითა და გულისხმიერებით გამორჩეული ექიმები, ბატონები: ავთანდილ მეგრელაძე, მამუკა ბოკუჩავა, დავით ვაშაძე, ლექსო ლაგვილავა, ელგუჯა არდია, ზვიად ხოშტარია, მამა-შვილი ჯონი და დავით გუნიები, მირიან ჩხაიძე, სორთმან ჯაფარიძე; ქალბატონები: ლალი მახათაძე, თამარა ებანოიძე, სოფო ფუტურიძე, ხათუნა ბერინაშვილი, ნინო ჯიმშელაძე, ლაურა კალიჩენკო, ირინა მალაზონია, ეკა დადუნაშვილი, უფალმა გვიმრავლოს ასეთი ექიმები, ასეთი მამულიშვილები.

ამ წერილის მიზანია არა სიძულვილი ზემოთაღნიშნული საავადმყოფოს მედპერსონალისა, არამედ შესაბამისი ზემდგომი ორგანოების გამოხმაურება, გულთან მიტანა ავადმყოფ ადამიანთა მდგომარეობისა და სათანადო ზომების მიღება მათ მიმართ.

უნდა გვახსოვდეს, არავინ ვართ დაზღვეული არასასურველი შემთხვევებისგან (ღმერთმა ყველა დაიფაროს), აბა, წარმოიდგინონ თავიანთი დედა, მამა, შვილი, შვილიშვილი, და-ძმა და როცა იწვნევენ (უფალმა ყველა დაიფაროს განსაცდელისგან), მაშინ ჩასწვდებიან, თუ რაოდენ დიდი გულისტკივილია ჩაქსოვილი ამ წერილში და არა სიძულვილი (ღმერთმა მაშოროს).

გვახსოვდეს!!! ყველას მოგვიწევს წარდგომა უფალთან.

გვეშინოდეს!!! „დიდ და საშინელ არს უფლის სამსჯავრო, სადაც თითოეულ ჩვენგანს ჩვენივე სიტყვითა და საქმით განგვსჯიან“.

მშვიდობიან მარხვასა და ბედნიერ დამდეგ შობა-ახალ წელს გისურვებთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

**ნანული (ნანა) გუნია,**
**პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აბაშის საპატიო მოქალაქე.**

# ჯანდაცვის სამინისტრომ უკან დაიხია

## კლინიკების პროტესტმა შედეგი გამოიღო!

**ჯანდაცვის სამინისტრო დათმობაზე მიდის. სკანდალურ 520-ე დადგენილებასთან დაკავშირებით შეიკრიბება საბჭო და დოკუმენტში ცვლილებები შევა. დეტალები ოთხშაბათისთვის დაზუსტდება. მცირედი ინფორმაცია მაინც ცნობილი ხდება.** დეფიბრილატორის გამოყენება ფაქტიური დანახარჯის მიხედვით ანაზღაურდება, ხოლო განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობის შემთხვევაში განფასება თავიდან მოხდება.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **თამარ გაბუნია** სამინისტროს პოზიციას ადასტურებს.



**— ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება დეფიბრილატორთან დაკავშირებით, რაზეც დიდი მღელვარება იყო — დეფიბრილატორის გამოყენება ანაზღაურდება ფაქტიური დანახარჯის მიხედვით. ასევე მიმდინარეობს რთული, განსაკუთრებით კრიტიკული მდგომარეობის ცალკე განფასებისთვის მსჯელობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობები, რაც არის იშვიათი, თუმცა მათი ფინანსური ზეგავლენა მაღალია, ამ შემთხვევებზეც გაკეთდება განფასება,** — განაცხადა თამარ გაბუნიამ.

რამდენიმე დღის წინ, 26 სამედიცინო დაწესებულების და დარგობრივი ასოციაციების მოთხოვნის მიუხედავად, ჯანდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა მთავრობის № 520 დადგენილების 6 თვით გადავადებაზე, რომლებიც ძალაში 21 ნოემბრიდან შევიდა. რეფორმის მიზანი იყო კლინიკებს შორის ფასების გათანაბრება, თუმცა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კატასტროფულად შემცირდა ტარიფები საქართველოში ისეთ ყველაზე უფრო განვითარებულ მაღალტექნოლოგიურ და მნიშვნელოვან სამედიცინო მიმართულებებზე, როგორიცაა რეანიმაციული მომსახურება, კარდიოლოგია, კარდიოქირურგია, არითმოლოგია, ნევროლოგია და ა.შ. ჰოსპიტალურ სექტორში აცხადებენ, რომ დადგენილებით განსაზღვრული ტარიფები არის სამედიცინო მომსახურების თვითღირებულებაზე გაცილებით ნაკლები.

„კავკასიის უნივერსიტეტის“ ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანი **ვატო სურგულაძე** მიიჩნევს, რომ კარგია, თუკი ჯანდაცვის სამინისტრო რაიმე დათმობაზე მიდის, თუმცა ეს საჭირო არ უნდა გამხდარიყო, რადგან მსგავსი ცვლილების მიღებამდე კონსულტაციები უნდა გამართულიყო.

**„ძალიან გამიხარდება, თუ რაღაცა დათმობაზე მოდიან, მაგრამ დათმობაზე კი არ უნდა მოდიოდნენ, წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინათ და შეხვედროდნენ კლინიკებს. 520-ე დადგენილებასთან დაკავშირებით ასეთი რამ მოხდა — გვაქვს ამდენი ფული, კეთდება ამდენი ოპერაცია, გაყვეს, მიიღეს რიცხვი და შესაბამისი კალკულაცია მიუსადაგეს მიღებულ რიცხვს. პრობლემა არის ის, რომ თანხა არ არის ბიუჯეტში და ეს როგორმე უნდა გამოესწორებინათ, სხვა მიზანს 520-ე დადგენილებაში ვერაფერს ვერ ვხედავ.**

**რეფორმა კეთდება სხვანაირად, ეს უნდა იყოს სისტემური მიდგომა. არ შეიძლება, ჩვენ ვისაუბროთ მხოლოდ კარდიოქირურგიაზე, ეს უნდა იყოს პირველადი ჯანდაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ონკოლოგიური პრობლემა, ფსიქიატრიული და ა.შ. ასე უნდა იწყებოდეს ეს ყველაფერი და არა, მოდი, დღეს ამას შევასწორებ, ხვალ — იმას. ეს არის ძალიან სერიოზული პროცესი და სჭირდება კონსულტაციები“,** — განაცხადა სურგულაძემ.

მისივე შეფასებით, თუკი 520-ე დადგენილების ამოქმედება არ შეჩერდება, ბაზარზე ძალიან დაბალი მომსახურება დარჩება.

პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატ **ლევან კობერიძეს** კი ეიმედება, რომ სამინისტროს ეყოფა კეთილგონიერება, სიჯიუტე არ გამოიჩინოს და შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებები. მისივე აზრით, ამის წინაპირობები არსებობს.

**ეკა ბაქრაძე**

## საფრთხილო სიცივე

**ცივი** ამინდი, შესაძლოა, გულის შეტევის მიზეზი გახდეს.

მოხალისეთა ჯგუფის სამედიცინო მონაცემთა შესწავლის შემდეგ, შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წლის ცივ დროში ინფარქტებისა და ინსულტების რიცხოვნობა მატულობს, თბილი ამინდების დროს კი იკლებს.

ამ გარემოებას მკვლევარები იმით ხსნიან, რომ სიცივეში სისხლძარღვები ვიწროვდება, რასაც არტიერიული წნევის მატება მოჰყვება.

## ფეხები რომ არ გეყინებოდეთ

**წელიწადის** ცივ დროში, უმეტესობა ჩვენგანს, თბილი ფეხსაცმლისა და წინდების მიუხედავად, ფეხები გვეყინება. არადა, ამ გასაჭირისგან თავის არიდება... სისხლძარღვების ვარჯიშით შეიძლება.

საამისოდ კი საჭიროა უხეში პირსახოცით, ან ჯაგრისით ფეხების მასაჟი. გარდა ამისა, სულაც შეგიძლიათ, ფეხის ტერფები ხელებით ინტენსიურად დაიზილოთ.

კიდევ ერთი ხერხია გაკაჟების პროცედურა. განსაკუთრებით ეფექტიანია კონტრასტული შხაპი, ან ფეხების აბაზანა. ოღონდ გახსოვდეთ, რომ ამის გაკეთება სისხლძარღვების ვარიკოზული გაფართოების დროს არ შეიძლება.

## წონა და... გრიპი

**ზრდასრულ** ადამიანებს, რომლებიც ჭარბ წონას, ანდა, პირიქით, სხეულის მასის დეფიციტს უჩივიან, ვირუსული ინფექციებისა თუ გრიპის შემდგომი გართულებების რისკი უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე ნორმალური აღნაგობის ადამიანებს.

ცნობილია, რომ ხანდაზმულობა და ქრონიკულ დაავადებათა არსებობა გრიპისშემდგომი გართულებების გაჩენის რისკს საგრძნობლად ზრდის. ცოტა ხნის წინათ ამ ორ ფაქტორს კიდევ სხეულის მასის ფაქტორიც დაემატა. აღმოჩნდა, რომ ნორმალური ზონიდან ორივე მხარეს გადახრა ბევრად ზრდის ავადმყოფობის შედეგად გართულებების წარმოშობას, თანაც ამ პროცესზე ქრონიკულ დაავადებათა არსებობა რაიმე განმსაზღვრელ როლს არ ასრულებს.

## თუ ყელი აგტკივდათ

**ზამთარში** ხშირად ყელი გვტკივდება ხოლმე, რასაც შეიძლება, გაციების საწინააღმდეგო ხალხური მეთოდით მოვერიოთ.

დაჭყლიტეთ რამდენიმე კბილი ნორი, ჭიქაში მოათავსეთ და 5 წუთის განმავლობაში ჯერ პირით, შემდეგ კი ცხვირით ისუნთქეთ. ეს არამარტო ყელის ტკივილისგან, არამედ ეპიდემიების დროს გაციებისგანაც დაგიცავთ.

# შორსგამჭვრეტელი აზრის ნათება

## მცირე რამ ამბები სტალინზე

## მაო ძედუნი

**სტალინთან** სტუმრად იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერი მაო ძედუნი. მასპინძელმა მას წარუდგინა კინომსახიობი ბორის ანდრეევი, რომელიც მთავარ როლს ასრულებდა ფილმში „ბერლინის დაცემა“, თან წარმოთქვა: — აი, ეს გახლავთ მსახიობი ბორის ანდრეევი. ჩვენ ორმა ერთად ავიღეთ ქალაქი ბერლინი!

ამის შესახებ ხშირად ჰყვებოდა იმხანად ძალზე ცნობილი რომანის „თეთრი არყის ხის“ ავტორი მწერალი მიხაილ ბუბენოვი.

ამავე ვიზიტის დროს მაო ძედუნმა სტალინს სთხოვა, ნება მიეცა, რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიაზე 20 მილიონი ჩინელი ჩაესახლებინა.

— მე ჩემი 200 მილიონიც მყოფნის! — მიუგო თურმე სტალინმა.

## პოლიკარპოვი

**პარტიული** აპარატის მუშაკს პოლიკარპოვს აუწყეს, რომ მისი დანიშვნა სურდათ მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე. იგი ძალზე შეწუხდა და ყველას ეხვეწებოდა, მისთვის ეს თანამდებობა თავიდან აეცილებინათ. ამას ასე ხსნიდა: მიჩვეული ვარ ნორმალურ და ჩვეულებრივ ადამიანებთან მუშაობას, მწერლები კი მსმელი ხალხია და თან არავის ემორჩილებიანო.

როდესაც სტალინს ეს ამბავი მოახსენეს, მან განაცხადა: თუ შეიძლება, ამხანაგ პოლიკარპოვს გადაეცით, რომ მე სხვანაირი მწერლები არ მყავანნო!

## ირაკლი ანდრონიკოვი

**ირაკლი ანდრონიკოვი** შეუდარებელ იმიტატორად ითვლებოდა. იგი უზადოდ ბაძავდა მრავალ ცნობილ ადამიანს და ამით მთელი საბჭოთა კავშირი იცნობდა.

იმის ასეთ მაღალ ოსტატობას სტალინმაც მოჰკრა ყური და ერთ-ერთი შეხვედრის დროს თანამემამულეს სთხოვა, ჩემი იმიტაციაც წარმოადგინეო.

— ამხანაგო სტალინ! თქვენს მიბაძვას ვერ ვბედავ, — წარმოთქვა ანდრონიკოვმა და მაშინვე ხელის და არარსებული ჩიბუხის მოძრაობით უდიდესი სრულყოფილებით წარმოადგინა სტალინი, რითიც ყველა განაცვიფრა.

## არტისტი და ხალხი

**სტალინი** საოპერო სპექტაკლს ესწრებოდა. ერთ-ერთ პარტიას ასრულებდა სახალხო არტისტი ბოლშაკოვი, რომლის შესრულებაც დიდი სრულყოფილებით არ გამოირჩეოდა.

— მთავარი როლის შემსრულებელი ბოლშაკოვი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტია, არა?

— დიახ, ამხანაგო სტალინ! — უპასუხეს.

— რა გულუხვი ყოფილა ჩვენი ხალხი! — შენიშნა მთავრობის მეთაურმა.

## პრემიები

**მწერალი** ვერა პანოვა თავისი ახალი რომანისთვის მესამეჯერ წარადგინეს სტალინურ პრემიაზე. მას შემდეგ, რაც პირველი ორი რომანის გამო ერთმანეთის მიყოლებით პირველი და მეორე ხარისხის პრემიები დამსახურებულად მიანიჭეს.. კომიტეტი გაეცნო ახალ ნაწარმოებს და გადაწყვიტა, ამჯერად მწერალი ქალი არ დაეჯილდოებინათ. სტალინი ჩაერია ამ საქმეში და საკითხი შემდეგნაირად გადაჭრა:

— მივანიჭოთ მესამე ხარისხის პრემია, მხოლოდ ამხანაგ პანოვას გადაეცით, რომ მეოთხე ხარისხის პრემია ჩვენთან არ არსებობს“.

სტალინი შეეკითხა მწერალ ა. ფადეევს, რატომ არ იყო წარდგენილი სტალინურ პრემიაზე ს. ზლობინი რომანისთვის „სტეპან რაზინი“. ფადეევმა უპასუხა, ს. ზლობინი საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს და, საერთოდ, არსად ჩანსო.

სტალინი ასე გამოსარჩლებია მწერალს: ალბათ, ამ დროს ზის და ახალ ნაწარმოებებს წერსო.

## საუბარი პასტერნაკთან

**ღამით** პასტერნაკთან ტელეფონის ზარი გაისმა:

— ბორის ლეონიდოვიჩ, გელაპარაკებათ ვინმე სტალინი. რას ფიქრობთ პოეტ მანდელშტამის შესახებ?

პასტერნაკმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მანდელშტამი დაპატიმრებული იყო და სტალინს ასე უთხრა:

— იოსებ ვისარიონოვიჩ, მოდით, სხვა საკითხზე ვისაუბროთ.

— ამხანაგო პასტერნაკ! თავის დროზე თქვენს მეგობრებს უფრო ყოჩაღად იცავდით ხოლმე, — უპასუხა სტალინმა და ყურმილი დაუკიდა.

მას შემდეგ, რაც მანდელშტამი დაიღუპა, პასტერნაკს მთელი სიცოცხლე სინდისი ქენჯნიდა.




## ყველა მომხრე, ერთი კი წინააღმდეგი

**კომპოზიტორი** გოლუბევი თავისი ერთ-ერთი სიმფონიის გამო წარდგენილი იყო სტალინური პრემიის ლაურეატობაზე. ეს ჟდანოვის წინადადება იყო, გარდა ამისა, ამ კომპოზიტორს მხარს უჭერდნენ პარტიული ხელმძღვანელობის ზედა ეშელონებში. ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი უთუოდ გახდებოდა ლაურეატი. როდესაც სტალინს ლაურეატობის კანდიდატთა სია ხელმოსაწერად წარუდგინეს, მან ყურადღებით ჩაათვალიერა გვარები და ხმამაღლა წარმოთქვა:

— გოლუბევი — სიმფონია, ყველა მომხრე, ერთი წინააღმდეგი. ვინ არის ეს ერთი ადამიანი?

— შოსტაკოვიჩი, ამხანაგო სტალინ! — უპასუხეს.

— ამხანაგ შოსტაკოვიჩს ჩვენზე გაცილებით უკეთესად ესმის მუსიკა! — წარმოთქვა მან და წარდგენილი სიიდან გოლუბევი ამოშალა.

## „მშვიდობისმყოფელი“ მეფის ვაჟიშვილი

**მეფე ალექსანდრე** III „მშვიდობისმყოფელის“ მეტსახელით მოიხსენიებოდა. ერთხელ შორეული მოგზაურობის დროს მან დაბალი ფენის ერთ ახალგაზრდა გოგონასთან შესცოდა. ხელმწიფემ ქალს სთხოვა, თუ შვილს გააჩენ, უთუოდ გამაგებინეო. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ მართლაც მიიღო შეტყობინება ბიჭუნას გაჩენის თაობაზე. მალე ახალგაზრდა დედის სახელზე ხელმწიფის ტელეგრამა აფრინეს: ყრმას დაერქვას სერგეი, მამის სახელად ჩემი სახელი, ხოლო გვარად ჩემი მეტსახელი გამოიყენეთო. ასე გაჩნდა ქვეყანაზე ვინმე სერგეი ალექსანდროვიჩ მიროტვორცევი, რომელიც თავისი წარმოშობის შესახებ არასდროს ლაპარაკობდა, რათა თავიდან აეცილებინა ცხოვრებისეული სირთულეები. თუმცა მოგვიანებით ჩეკისტებისთვის ცნობილი გამხდარა მისი მამის ვინაობა.

როდესაც ამის შესახებ სტალინს მოახსენეს, მას უთქვამს: იგი სულაც არ არის დამნაშავე, რომ მამამისი მრუში და მექალთანე ყოფილა და ს.ა. მიროტვორცევი მშვიდად აგრძელებდა ცხოვრებას და მოღვაწეობას, პროფესორი გამხდარა, დიდი წარმატებებისთვის მიუღწევია და თავის დარგში სტალინური პრემიაც კი დაუმსახურებია.

## ვანიკოვი

**ომის** დროს ერთ-ერთი დიდი თანამდებობის პირი ვანიკოვი ციხეში იჯდა რაღაც პატარა დანაშაულისთვის. იგი მოულოდნელად გაათავისუფლეს და სტალინთან მიიყვანეს.

სახელმწიფოს მეთაურმა იგი სახალხო კომისრად დანიშნა. ვანიკოვს უთქვამს, ხვალ რომ სახალხო კომისარიატში მივალ, ჩემს თანამშრომლებს შორის რა ავტორიტეტი მექნება, როცა გუშინ პატიმარი ვიყავიო.

სტალინის უპასუხია:

— თქვენს ავტორიტეტზე ჩვენ ვიზრუნებთ, ირგვლივ ამდენი საქმეა, რა დროს ციხეში ჯდომა იყო!

დილით, როცა სახალხო კომისარი სამსახურში მივიდა, მაგიდაზე დახვდა გაზეთი „პრავდა“, სადაც დაბეჭდილი იყო ბრძანებულება, ვანიკოვისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

## ცუნამი

**სამამულო** ომის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, როცა კურილიის კუნძულებს უძლიერესმა სტიქიამ გადაუარა. ეს იყო ცუნამი. დაიღუპა 28 ათასი ადამიანი, მათ შორის სამხედროებიც.

ერთ-ერთ სამხედრეო ნაწილში გადარჩა მხოლოდ ერთი ჯარისკაცი, ბაირაღით ხელში.

როდესაც ეს ამბავი სტალინმა გაიგო, გადაწყვიტა, ახალგაზრდა ჯარისკაცისთვის გმირის წოდება მიენიჭებინა. მასთან გასაუბრებისას ახალგაზრდა კაცი დაუფარავად ჰყვებოდა იმ საშინელი სტიქიური უბედურების შესახებ, რისი თვითმხილველიც იყო. ჯარისკაცმა თქვა, რომ იმ წუთებში მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თავი როგორ გადაერჩინა, სამხედრო დროშა კი მხოლოდ ხელს უშლიდა და მასთან ახლოს სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა. სტალინმა მშვენივრად აღიქვა რაც მოხდა და შემდეგი აზრი გამოუთქვამს:

— სამწუხაროა, რომ ჩვენთან პატიოსანი და მართალი სიტყვებისთვის ჯილდოები არ არსებობს.

იმისთვის, რომ ჯარისკაცი წაეხალისებინათ, მას ფრანგული ქსოვილისგან თურმე ახალი ფორმა შეუკერეს, მისცეს ერთთვიანი შვებულება სახლში წასასვლელად და თან ყველანაირი ხარჯები აუნაზღაურეს.

## ეკლესია

**სტალინს** თხოვნით მიმართა რუსეთის პატრიარქმა, მოსკოვში ეკლესიების აგების ნება მოგვეცითო.

— ააგეთ, ააშენეთ ეკლესიები, — უპასუხია სტალინს, — რუსებს აქვთ მიზეზი და უამრავი ახლობელი ჰყავთ გასახსენებელი, დაე, ილოცონ ძვირფასი ადამიანების სულების მოსახსენიებლად!

გახარებულ და დაიმედებულ პატრიარქს სითამამე მოემატა და გადაწყვიტა, მთავრობის მეთაურისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თხოვნა მოეხსენებინა, ეს ეხებოდა ქვეყანაში სასულიერო სასწავლებლების გახსნას: სტალინმა თანხმობა განაცხადა, გახსნილიყო საეკლესიო და საღმრთისმეტყველო სასწავლებლები, ხოლო სასულიერო სემინარიის თაობაზე ასეთი რამ თქვა:

— ისტორიამ იცის შემთხვევები, როცა სასულიერო სემინარიებიდან არც თუ ცუდი რევოლუციონერები გამოდიოდნენ. ასე რომ, სემინარიები დიდს არაფერს წარმოადგენს და არც სარგებლის მოტანა შეუძლია. ხომ ხედავთ, მე სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი და აქედან არავითარი შედეგი არ დამდგარა.

## ლიმონი

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე სტალინს მოსკოვში სტუმრობდა. მასპინძელმა მას კუნცევოს აგარაკი დაათვალიერებინა, რომლის ხეივანშიც ლიმონარიუმი მოეწყოთ. იგი მგელაძეს ლიმონით გაუმასპინძლდა და უთხრა:

— მიირთვით, მიირთვით, მშვენიერი ლიმონია!

ცოტა ხნის შემდეგ იგივე სიტყვებით მიმართა და თან რამდენიმეჯერ გაუმეორა. ბოლოს სტუმარი მიხვდა ქარაგმას და წარმოსთქვა:

— ამხანაგო სტალინ! პირობას გაძლევთ, დავიწყებთ ლიმონის მოყვანას და რამდენიმე წელიწადში იმდენ ლიმონს მოვიყვანთ, აღარ დაგვჭირდება საზღვარგარეთიდან შემოტანა.

— მადლობა ღმერთს, ჩაწვდით საქმის არსს! — იყო სტალინის პასუხი.

**მასალები** შეარჩია და მოგვაწოდა ი.ბ. სტალინის შვილიშვილის (იაკობის ვაჟიშვილი) ევგენი ჯუღაშვილის ქვრივმა **ნანა ნოზაძე-ჯუღაშვილმა**.

## თავის თავზე

მე დღევანდელიც ზუსტად ისეთივე ვარ, როგორიც ის დინჯი, დაფიქრებული გოგონა ვიყავი, ჩალისფერკულულიანი. სახლი სხეულია, რომელშიც სული სუფევს, უკაცრიელდება, ავითარებს ინსტინქტებს, ნაირ-ნაირ გემოვნებას, ემოციას, ინტელექტს, ოღონდ მე, თვითონ აგატა, სულ ერთიანად, თხემით ტერფამდე თუ სულით ხორცამდე ნამდვილ აგატად ვრჩები, რაც ოდენ მაღალმა ღმერთმა უწყის.

* * *

მე სიცოცხლე მიყვარს და ვერავითარი სასოწარკვეთილება, ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება და უბედურება ვერ მაგულმავიწყებენ, რომ უბრალოდ სიცოცხლე უდიდესი სიკეთეა.

* * *

წიგნების წერა ჩემი სამუშაოა, რისთვისაც შესაბამისი ხელსაწყოებია საჭირო: საბეჭდი მანქანა, ფანქარი და მაგიდა, რომელსაც უნდა მივუჯდე.

* * *

მე ორ შემთხვევაში ვერ ვიძინებ: დიდმა სიხარულმა, როგორც დიდმა ჯავრმა, სიმშვიდის დაკარგვინება იცის.

* * *

ერთადერთი ცეკვა, რაც ვისწავლე და რაც ცხოვრებაში გამომადგა, ვალსია, მაგრამ ამასთანავე, არცროდის არ მყვარებია ვალსის ცეკვა. რიტმი არ მომწონდა, მუდამ საშინლად მიბრუებდა თავს.

* * *

გევრ სხვისგან განსხვავებით, სულაც არ გამძნელებია ომის დროს წერა. ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი ტვინის სადმე განკერძოებულ კუთხეში თითქოსდა განცალკევებული ვიყავი. შემეძლო მთლად, უნაშთოდ წიგნში ცხოვრება იმ ადამიანებს შორის, ვისაც აღვწერდი, თან ცხვირში მებუტბუტა იმათი რეპლიკები, დამენახა, როგორ მიმოდიოდნენ ოთახში, რომელიც იმათთვის მოვიფიქრე.

* * *

წიგნებს მაინც დავწერდი, ჩემი ქმრის გარდა არცვის რომ არ წაეკითხა ისინი.

* * *

მე და ჩემს ქმარს მსგავსი პროფესიები გვაქვს, ჩემი ქმარი არქეოლოგია, არქეოლოგია კი წარსულის დეტექტივებია.

* * *

ინფორმაციას არ ვავრცელებდი, თუ მართებულად და საჭიროდ არ მიმაჩნდა, სუყოველ მიღებულ ცნობას მეხსიერების საგანგებო არქივში ვინახავდი.

* * *

დროს დიდად ვაფასებდი. დროზე უფრო საკვირველი რამ არცრაა ცხოვრებაში. არა ვფიქრობ, რომ თანამედროვე ადამიანთ ის საკმარისად ჰქონდეთ, ბავშვობასა და ყმაწვილქალობაში ძალიან იმიტომ გამიმართლა, რომ აგრერიგად ბევრი დრო მქონდა. იღვიძებ დილით და სანამ თვალთ გაახელდე, წინასწარ გინდა დაგემოვნება: „ნეტავი დღეს რას ვიზამ?“

* * *

ვიცი, რომ აკადემიური ცოდნა არა მაქვს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩემზე თქმა, ინტელექტუალიაო, სამაგიეროდ, ბევრი საღი აზრი და ცხოვრებისეული ჭკუა მაქვს.

* * *

გავშვობაში საკმაოდ გონებაჩლუნგი ვიყავი, რაც მომავალში მემუქრებოდა, რომ მოსაწყენი, აბეზარი პიროვნება გავხდებოდი და მაღალ საზოგადოებაში დიდი ვაი-ვაგლახით თუ ჩავეწერებოდი.

* * *

ხანისად უხიაგი, უიმედო, უბედურზე უბედური და სევდისგან გამოფიტული ვიყავი, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, ზუსტად ვიცი, უბრალოდ, ცოცხალი რომ ვარ, რაც წუწუნის უფლებას არ მაძლევს, დიდი ბედნიერებაა! გესმით, რაზე ვლაპარაკობ?!

* * *

რათა 70 წლისა სასიამოვნო მოხუცი მანდილოსანი ვყოფილიყავი და ჩემს დანახვაზე უცხოთა თვალებში აღტაცება დამენახა, ამისთვის ზრუნვა 17 წლისამ დავიწყე.

* * *

გარეგნობით ლამაზი ვიყავი. საკმარისია, ამაზე სიტყვა დავძრა, მთელი ჩემი ოჯახი ხარხარს იწყებს. მეტადრე ჩემი ქალიშვილები და მისი ამხანაგები.

* * *

უკეთუ გარდასახვის თეორია სანდოა, მაშ, აბა, ძაღლი ვიყავი, არცრა ძაღლური ზნე არ მაკლდა. თუკი ღონისძიება რამ წამოიწყებოდა, უმალ სუნს ვიკრავდი და იქ გავჩნდებოდი, აუცილებლად ჩავერთობოდი. დიდხანს სადმე წასული შინ რომ ვბრუნდებოდი, მაშინაც ძაღლურად ვიქცეოდი.

* * *

ხანდახან ვფიქრობ, როს ჩემი დროც მოვა და ძალიან დავსევდიანდები, უკეთუ ჩემი გამართლების ერთადერთი საბუთი ის იქნება, რომ სამართლიანი ვიყავი. მაშინ მეც მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანად მომექცევიან. ეგ არის და ეგ.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №244-252

სავსებით პატიოსნად უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ორი ამბიდან, რის გამოც უაღრესად ავღელდი, ერთი ავტომობილის ყიდვა იყო... მეორედ ასეთივე აღტაცება ორმოცი წლის მერე განვიცადე, თვით დედოფალმა რომ დამპატიჟა ვახშმად ბუკინგემის სასახლეში!..

* * *

ადამიანებს შორის ძმობა ჯერეთ კიდევ მჯერა, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდხანს მოგვიწევს ამ ძმობის ლოდინი. ალბათ, სულ ცოტა, ერთი ათი ათასწლეული მაინც. ნუ ვიქნებით მოუთმენელნი. ევოლუცია დროს ითხოვს.

* * *

მჯერა, რომ ადამიანები კი არ მიდიან მოვლენებთან, არამედ მოვლენები მიდიან ადამიანებთან. ჩემს შემთხვევაში, სწორედ ასე ხდებოდა მუდამ.

* * *

წიგნების წერა ჩემი მუდმივი და საიმედო პროფესიაა. ვიცი, მანამ შემიძლია ჩემი წიგნების მოფიქრება და თხზვაჩმახვა, სანამ არ გამიფრენია და არცროდის იმის შიში არა მქონია, ვაითუ ვეღარ შევძლო კიდევ ერთი ათიოდე დეტექტივის სიუჟეტის მოფიქრება-მეთქი.

* * *

ნუ გამიწყრებით იმის გულისთვის, რაკი ჯერ კიდევ ღლაპი გიწოდე. სიახალგაზრდავე ნაკლია, რასაც, ვაი რომ, ძალიან მალე ვაღწევთ თავს.

ის ადამიანები, ვისაც ვიგონებდი, ბევრად უფრო რეალურნი იყვნენ, ვიდრე სინამდვილეში ჩემ გარშემო მყოფნი.

* * *

რა მეთქმის ახლა? მადლობელი ვარ შენი, მაღალო ღმერთო, ჩემი კარგი ცხოვრებისთვის და მთელი იმ სიყვარულისთვის, რაც მიბოძე.

## ადამიანებზე

არიან ადამიანები, რომელთათვისაც, რაც რამ იმათ წარმოსახვას არ ემთხვევა, ყურით მოთრეული ჰგონიათ.

* * *

ის ადამიანები, ვინც მარტოოდენ თავის მიზნებს ისახავს, ამ ქვეყანას დიდად არ აზიანებენ. ისინი ყოვლის უფრო კარგი განმკარგულებელნი და მმართველნი არიან. თვითონ ზეცა შეეწევა იმ ქვეყანას, სადაც ხელისუფლებაში ასეთი ადამიანები არიან, უწინარესად, პირად კეთილდღეობაზე მზრუნველნი. ისინი კი, ვინც მაღალ იდეებს არის გამოკიდებული და მთელი ქვეყნიერების გაბედნიერება უნდა, სწორედ ისინი ყრიან ხალხს უბედურების უფსკრულში, შიმშილისთვის სწირავენ ბავშვებს, ანგრევენ ათასობით ოჯახს და ვერც ამჩნევენ, რას სჩადიან.

* * *

რატომ უყვართ ქალებს წარსულის ქექვა? კაცები ვერ იტანენ თუ მუდმივად იმ წუთებს შეახსენებენ, როცა ისინი გვარიანად იდიოტები იყვნენ.

* * *

მჯეროდა და მჯერა დემოკრატიის, მაგრამ იმის დანერგვას რკინის ხელი უნდა. ადამიანებს ერთმანეთის ძმობა არ უნდათ, მაგრამ იქნებ ოდესმე მოუნდეთ?!

* * *

ბედნიერი ადამიანები წარმატებას არ არიან გამოკიდებულნი: ისინი იმდენად არიან თავიანთ თავთან შეხმატკბილებულნი, უბრალოდ არცრა ამქვეყნად არ აგულისყურებთ.

* * *

ბრმა ერთგულება, მთელი ცხოვრება ფეხებში რომ გვებლანდება, ხანისად მაინც აჯილდოებენ.

* * *

თავდაჯერილი ადამიანი გაცილებით საგულისყუროა.

* * *

თუმცა აღტაცებული ვარ ადამიანების თავდაჭერილობით, მაგრამ სიმწრით უნდა აღვნიშნო, რომ თავდაჭერილობა მეტისმეტად გვბორკავს. ბევრად უკეთესია საკუთარ გრძნობათა გარეთ გადმოფრქვევა.

* * *

უმცირესობა, რომელსაც „მოძულეთ“ ვეძახით, ფრიად ცოტაა, მაგრამ ნებისმიერი უმცირესობა უფრო მეტად ხმაურობს, ვიდრე უმრავლესობა.

* * *

უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანი როგორიც არის, სხვანაირი ვერ იქნება: ბედნიერი და მხიარულია იმ დრომდე, ვიდრე რაიმე გულს არ ატკენს, ანდა პირქუში და ნაღვლიანია, ვიდრე რაიმე დარდს არ გაუქარვებს. რა თქმა უნდა, ბედნიერი ადამიანების გაუბედურებაც შესაძლებელია, პირქუშთ კი იქნებ სალხენადაც გაუხდეთ საქმე, მაგრამ მე ახალშობილის დასაჩუქრება თუ შემეძლებოდა, მხოლოდ კარგ ხასიათს ვაჩუქებდი.

(გაგრძელება იქნება)

**„ვისაც ნაღდად არცროდის არ ჰყვარებია, იმას არცროდის ნაღდად არ უცხოვრია“**

*– ასე ამბობდა აგათა ქრისტი*



**ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა**

* * *

იდეალური მკითხველი მუდამ იდეალური უძილობით იტანჯება. სხვაგვარად, აბა, როგორ გაუმკლავდებოდა ყოველივე იმას, რაც მისთვის დამიწერია?!

* * *

ეჭვი არ შეგეპაროთ, მთელი ჩემი ოჯახი კოლექციონერთაგან შედგებოდა, და მე ვიმემკვიდრევე ეს თვისება. უხერხულობა ის არის, რომ, თუ ფაიფურის ანდა ავეჯის კოლექცია იმემკვიდრევე, ეს კოლექციონერობის დაწყების სიხარულს გართმევს. ასეა თუ ისე, კოლექციონერობის ჟინი დაკმაყოფილებას ითხოვს, მეც ავდექი და „პაპიე მაშეთაგან“ და სამშვენისთაგან გვარიანად ლამაზი ავეჯის თვალშისაცემი ასორტიმენტი ავაწყვე, რაც ჩემი მშობლების კოლექციებში არა ყოფილა.

* * *

ჩემს წიგნებს სულაც არ მივიჩნევ რაღაც ლიტერატურულ სულიერ ხილვად, უბრალოდ, თავშესაქცევად წერა შემიძლია.

* * *

სულ ცოტა, ორმოცდაათჯერ, ანდა სამოცჯერ მაინც მივუწვევივარ ხან ვის და ხან ვის, საბედნიეროდ, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და სულაც გასაკვირი არ არის, რომ ვინმე ეგრევე შემყვარებოდა. მიბნედილი თვალებით ვუმზერდი ასაკსრულ გარუჯულ პოლკოვნიკთ, მაგრამ ბევრი იმათგანი უკვე გულწამტან ქმრიან ქალთ – სხვა მამაკაცთა ცოლებს – ეკურკურებოდა და ვერცრა საგულისხმოს ვერ ამჩნევდა ნორჩ გამოუცდელ, უმ ქალიშვილთ.

* * *

მეხსიერებიდან ამოფრქვეული სიხარულით ტკბობა, დროდადრო რამდენიმე გვერდის წერა – აი, რას ვაპირებ მომავალში. ეს ამოცანაა, რომლის გადაწყვეტას, ალბათ, წლები დასჭირდება, მაგრამ რატომ ვამბობ, ამოცანაა-მეთქი?! ეს ამოცანა კი არა, ჟინია და ჩემი სურვილის წაქეზებაა.

* * *





# ბოლოს და ბოლოს, ვინ დაიწყო აგვისტოს ომი?!

## არმაზ სანებლიძის სტატიასთან დაკავშირებით

**მხოლოდ ივანიშვილის მართალმა სიტყვამ — ომი სააკაშვილმა დაიწყო, კარდინალურად შეცვალა ვითარება. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაციონალები, მისი განშტოებები, ე.წ. ექსპერტობა, საზოგადოების ნაწილი დღესაც ძველებურად გაჰყვირიან, უფრო მეტიც, ისინი (უგულავა) სატელევიზიო გამოსვლების დროს მოგვიწოდებენ, შევწყვიტოთ ამ თემაზე ლაპარაკი და ვაშენოთ ახალი საქართველო. ე.ი. ყველამ დავგმოთ რუსეთი, დავაბრალოთ მას აგრესორობა, გავამართლოთ სააკაშვილის ავანტიურა, შევუნდოთ მას და ნაცებს დანაშაული.**

გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოს“** 2019 წლის 43-ე ნომერში (27 ნოემბერი — 3 დეკემბერი) გამოქვეყნდა ცნობილი ჟურნალისტის **არმაზ სანებლიძის** სტატია სათაურით — **„რა უპასუხა რუსეთის პრეზიდენტმა სააკაშვილს „ულტიმატუმზე“**.

საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტს აცნობს საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებელ გეგმას, რუსეთის პრეზიდენტი კი თავის მხრივ გამოთქვამს მოსაზრებებს და სურვილს, ჩაერთოს ამ პროცესში, როგორც მომრიგებელი, თან ურჩევს კოლეგას იმ უპირველესი და აუცილებელი საკითხების აფხაზეთის მხარესთან შეთანხმებას, ურომლისოდაც არსებული პრობლემების მოგვარება ეჭვქვეშ დადგება.

მიმოწერა 2008 წლის ივნის-ივლისში ხდება, ანუ ომის დაწყებიდან ერთი თვითა და 8 დღით ადრე. სააკაშვილი წერილს უგზავნის მაშინდელ პრეზიდენტ მედვედევს და არა პრემიერ-მინისტრ პუტინს, რაც თავისთავად აბათილებს ჩვენთან მოარულ მოსაზრებას, რომ პუტინმა დაიწყო ომი და არცვინ სხვამ. მიუხედავად მედვედევის არაერთი სატელევიზიო თუ საგაზეთო ინტერვიუსი, რომ რუსეთის არმიის იერიშის განკარგულება მან გასცა, როგორც ქვეყნის მთავარსარდალმა, ქართული მხარე მაინც თავისას გაიძახის — ომი პუტინმა დაიწყოო.

**თავის ინტერვიუში მედვედევი წუთებში აღწერს ქართული ჯარის საომარ მოქმედებას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე; იმას, რამდენჯერ შევიდა მასთან კაბინეტში თავდაცვის მინისტრი სერდიუკოვი თხოვნით, მოეხდინა რეაგირება; რამდენჯერ შეეცადა პუტინთან დაკავშირებას, რომელიც პეკინში იმყოფებოდა ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე, რათა მას (პუტინს) მიემართა აშშ-ის პრეზიდენტ ბუშისთვის, რომელიც ასევე იმყოფებოდა პეკინში, სტადიონზე, თუმცა ამაოდ. და როდესაც ქართულმა ტანკებმა ცხინვალის ქუჩებში დაიწყეს სვლა, მედვედევს სხვა არჩევანი აღარ დარჩა, გარდა ერთისა — თავდაცვის მინისტრს შეტევის ბრძანება გაეცა.**

პუტინთან კავშირი მოგვიანებით შედგა, როდესაც რუსეთის ტანკები ცხინვალის შემოგარენში იბრძოდნენ. პუტინმა სცადა ბუშთან დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ, მაგრამ დაყინებამ საბოლოოდ გაჭრა — **პუტინი** დაელაპარაკა ბუშს, რომელსაც დიდი გაოცება აღნიშნულის მიმართ არ გამოუხატავს. მართალია, პუტინი სასწრაფოდ დაბრუნდა მოსკოვში და აქტიურად ჩაერთო პროცესებში, მაგრამ ომის დაწყების ბრძანება მას არ გაუცია.

**ეს, უბრალოდ, ცნობისთვის. ახლა, რაც შეეხება სააკაშვილის წერილს. ვეთანხმები ბატონ არმაზ სანებლიძის შეფასებას წერილის „დიპლომატიურობასთან“ დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, წერილს და მასში გახმიანებულ წინადადებებს არაფერი აკავშირებს არათუ დიპლომატიასთან, არამედ ელემენტარულ ტაქტთან, ზრდილობასთან. წერილის მბრძანებლურმა ტონმა უმალ გამახსენა აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძისთვის გაგზავნილი სააკაშვილის ბატისფეხურით ნაჯღაბნი რვეულის ფურცელი, რომელიც აბაშიძეს მერაბიშვილმა გადასცა. ქაღალდზე ჩამოწერილი იყო „ახალი მბრძანებლის“ სურვილები, რომელთა შესრულებას ის სასწრაფოდ ითხოვდა. მათში პირველი იყო ახალაიას სარფის საბაჟოს მთავარ კონტროლიორად დანიშვნა.**

**ასლან აბაშიძე, უპატივცემლობით აღშფოთებული, ხშირად აჩვენებდა ამ ქაღალდის ნაგლეჯს უცხოელ დიპლომატებს, რომლებიც 2004 წლის მაისამდე ხშირად ჩადიოდნენ აჭარაში თბილის-ბათუმს შორის არსებული დაპირისპირების მოსაგვარებლად. მათი რეაქცია იყო ისეთი, როგორიც ბატონი ასლანის, თუმცა ამას ვითარება არ შეუცვლია.**

დიპლომატიაში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში არასდროს შემხვედრია სააკაშვილის წერილის მსგავსი „შედევრი“, რაც არა მარტო მისი **„დამსახურებაა“,** არამედ მაშინდელი საგარეო უწყებისაც, იმ მრჩევლებისაც, უხვად რომ ეხვივნენ თავს **„მამა-მარჩენალს“**.

არ შევუდგები წერილში მოყვანილი წინადადებების განხილვას. დაინტერესებული მკითხველი თვით გაეცნობა, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს წინადადებები — თბილისი-სოხუმის იმჟამინდელი დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე, აბსტრაქტულად, განუხორციელებლად მოჩანდა. იქნებ წერილის ხელმომწერის მიზანიც ეს იყო, ანუ მიამიტური, უბრალო ფანდი, რის შესახებაც მიგვანიშნებს ბატონი არმაზი: **„სააკაშვილმა მედვედევისთვის წერილის გაგზავნით შექმნა ალიბი: ყველაფერი ვიღონე კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაწესრიგებლად, მაგრამ არ გამოვიდა, მშვიდობიან შეთავაზებაზე მივიღე ცივი უარი, ომი დავიწყეთ, რუსეთს ნიღაბი ჩამოვხსენითო“.**

არადა, მედვედევის პასუხში, რომელმაც არ დააყოვნა, იოტისოდენადაც არ ჩანს **„დერჟავნიკობა“,** უხეშობა, დიდი ქვეყნის ძალისმიერი პოლიტიკა. რაც ჩანს, პრობლემების ღრმა ცოდნაა, თან რჩევები მათი გადაჭრისთვის. მედვედევი სააკაშვილს სთავაზობს ერთ თვეში შეხვედრას. მედვედევის საპასუხო წერილის შინაარსი საქართველოს ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. ის შეგნებულად დამალა სააკაშვილმა, ვინაიდან ომის დაწყების გამამართლებელ ფაქტორად ვერ გამოიყენებდა.

მედვედევისთვის **„ალიბი-წერილის“** გარდა, სააკაშვილმა ომის დაწყებამდე ერთი-ორი დღით ადრე, სპეციალური სატელევიზიო გამოსვლით მიმართა „ძმურ“ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას — მტკიცე, მყარი მეგობრობის ჩამოყალიბების და მშვიდობიანი, უშფოთველი, ერთობლივი ცხოვრების აშენებისთვის, რითაც მოადუნა ოსების ყურადღება და „მშვიდობიანი“ თანაცხოვრება „გრადებით“ დაიწყო.

სააკაშვილს აფხაზეთთან პრობლემების მოგვარების სერიოზული სურვილი რომ ჰქონოდა, მოიკითხავდა ქართულ-აფხაზური შეხვედრების (შლაინინგის პროცესი) მასალებს, რომელი შეხვედრების ერთ-ერთ რაუნდში დავით ბაქრაძეც მონაწილეობდა.

**როგორც ამ მოლაპარაკებების მონაწილეს, შემიძლია თქმა, რომ გერმანიაში გამართული ბოლო რაუნდის მიხედვით, ისეთ ერთობლივ შეთანხმებას მივაღწიეთ, უკეთესს რომ ვერ ვინატრებდით, თუმცა ყოველივეს ხაზი გადაუსვა აფხაზეთის მიმართ განხორციელებულმა სააკაშვილის პროვოკაციამ, შემდეგ წინასწარ დაგეგმილმა და აშშ-ის გარკვეული წრეების მიერ მხარდაჭერილმა ცხინვალის ომმა.**

აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი თავის წიგნში წერს, რომ გააფრთხილა სააკაშვილი, ომი არ დაეწყო, მაგრამ სააკაშვილმა არ დაუჯერა. აშშ-ის სპეცსამსახურების გამოჩეკილი სააკაშვილი, როგორ გგონიათ, სახელმწიფო მდივნის ნათქვამს ფეხებზე დაიკიდებდა და ომს გააჩაღებდა?!

რაისმა ეს იმიტომ დაწერა, რომ ჩვენ და მსოფლიოს ის გვეთქვა, რასაც ვამბობთ — აშშ არაფერ შუაშია, ომი სააკაშვილმა დაიწყოო. სააკაშვილი ცნობილია თავისი სიბრიყვით და იმპულსური მოქმედებით, მაგრამ ის ისეთი ბრიყვი არ არის, ომი დაეწყო რუსეთისთვის ამერიკელთა მხარდაუჭერლად. ამის დასტურად გამოდგება მისი აღელვებული სატელეფონო საუბარი აშშ-ის პრეზიდენტ ბუშთან.

**სააკაშვილმა უღალატა ქვეყანას. დააკარგვინა მას მიწა-წყალი, რუსეთი აიძულა, რომ ეღიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა — მედვედევ-სარკოზის მიერ მომზადებული დოკუმენტიდან იმ მუხლის ამოღებით, სადაც თბილისს მოუწოდებენ სოხუმ-ცხინვალთან პოლიტიკური სტატუსის განსასაზღვრად მოლაპარაკების დაწყებას.**

ერთ-ერთი უცხოური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა გაიხსენა ამის შესახებ და თავი ასე იმართლა —იმიტომ ამოვშალე, რომ რუსეთი მოლაპარაკების დროს მაიძულებდა დათმობაზე წასვლასო.

**სააკაშვილის გაჩაღებული ომი მაგონებს არგენტინის სამხედრო ხუნტის მიერ ფოლკლენდის კუნძულებისთვის დაწყებულ ომს, რაც ხუნტის მარცხით დამთავრდა. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალებმა გაანადგურეს არგენტინის საზღვაო ძალები, რამაც დიდი სახალხო ჯანყი გამოიწვია არგენტინელებში, რომლებიც ქუჩებში გამოვიდნენ საკუთარი ხელისუფლების დასამხობად, რაც განახორციელეს კიდეც. სამხედრო ხუნტა დაიჭირეს და ხანგრძლივი ვადით ციხეში გამოამწყვდიეს. აქ რა მოხდა?**

დამნაშავე სააკაშვილი და მისი „ხუნტა“ ლამის გმირებად აქციეს. პარლამენტის შენობის წინ გამართულ სცენაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელოვნების მუშაკები, მომღერლები, ცნობილი ორატორები, აგრესორი რუსეთის წინააღმდეგ მეომარი „ამირანის“ დასაცავად. არც მომრიგებელი სარკოზი — საფრანგეთის პრეზიდენტი უგულმავიწყიათ. იქაურობას აყრუებდა — „სარკო, სარკო, მიშა-მიშას“ ძახილი. შემდეგ ცოცხალი ჯაჭვიც გაიბა — რუსული აგრესიის დასაგმობად. გონსმოსულმა სააკაშვილმა საზოგადოებას ამაყად ამცნო ომში გამარჯვება და აგრესორი რუსეთის დამარცხება.

**სააკაშვილს აპატიეს შინ და გარეთ. რა იყო ეს — ხელისუფლების წინაშე შიში? არც ერთ პარტიას არ გამოუთქვამს პროტესტი ომის დაწყებისთვის. არათუ პროტესტი, ხმამაღალი სიტყვაც არ დასცდენიათ. პირიქით, მხარში ამოუდგნენ დამნაშავეს, მაშინ, როდესაც საერთაშორისო სპეცკომისიამ დიპლომატ ტალიავინის მეთაურობით და გაერომ საქართველოს ქმედება შეაფასეს, როგორც ომის გაჩაღება, აგრესია, დანაშაული.**

მხოლოდ ივანიშვილის მართალმა სიტყვამ — ომი სააკაშვილმა დაიწყო, კარდინალურად შეცვალა ვითარება. მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაციონალები, მისი განშტოებები, ე.წ. ექსპერტობა, საზოგადოების ნაწილი დღესაც ძველებურად გაჰყვირიან, უფრო მეტიც, ისინი (უგულავა) სატელევიზიო გამოსვლების დროს მოგვიწოდებენ, შევწყვიტოთ ამ თემაზე ლაპარაკი და ვაშენოთ ახალი საქართველო. ე.ი. ყველამ დავგმოთ რუსეთი, დავაბრალოთ მას აგრესორობა, გავამართლოთ სააკაშვილის ავანტიურა, შევუნდოთ მას და ნაცებს დანაშაული.

**საქართველოს პოლიტიკა, ვითომ ანტაგონისტურად განწყობილ ნაცთა მიმართ, იოლად ივიწყებს ნაცთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, განსაკუთრებით 2008 წლის ომის გაჩაღებას და ერთიანდება ივანიშვილის წინააღმდეგ, მუხლმოდრეკით ეახლება დამნაშავე სააკაშვილს უკრაინაში, როგორც მსოფლიოში ცნობილ პოლიტიკოსს, რომლის პოლიტიკური პერსონა უდავოდ გასათვალისწინებელია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში.**

მან დაუშვა შეცდომა, მაგრამ ქართული პოლიტიკური ცხოვრებიდან მისი ამოგდება შეუძლებელია. ასეთია გაერთიანებულთა აზრი, რომლის მიხედვით ცხინვალის ომის დაწყება, ათასობით ადამიანის მსხვერპლი, ტერიტორიების დაკარგვა, ნგრევა უბრალო შეცდომაა.

არა, მეგობრებო, სიტყვა „შეცდომას“ სხვა განმარტება აქვს, რომელიც ვერაფრით დაიტევს ზემომოყვანილ საშინელებებს, რასაც დანაშაული და ღალატი ჰქვია.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

მოვლენა



# კაშკაშა საკომპოზიტორო ტალანტი

**ახლახან საოპერო თეატრის მსმენელით სავსე დარბაზში ვიხილეთ ღვთით მოვლენილი სასწაული — ჭეშმარიტი ვუნდერკინდი, 10 წლის ცოტნე ზედგენიძე. დამსწრე საზოგადოება მან აღაფრთოვანა ფორტეპიანოზე დაკვრით და, განსაკუთრებით, საკუთარი მუსიკალური თხზულებებით, რომლებშიც გამოვლინდა მისი საოცარი მუსიკალური სამყარო.**

მოზღვავებული ემოცია დღემდე არ მაძლევს საშუალებას, მშვიდად გავაანალიზო ეს ფენომენი. ამასთანავე, მიღებული ძლიერი ემოცია და სიხარულის განცდა მიბიძგებს, ვთქვა რამდენიმე სიტყვა ცოტნეს შემოქმედებაზე.

განსაცვიფრებელია მისი მრავალმხრივი ინტერესი, საკმაოდ ფართო ცოდნა და საკუთარი დამოკიდებულება სხვადასხვა ეპოქის — საფორტეპიანო, სიმფონიური, საოპერო, კამერული მუსიკისადმი ბაროკოდან დღემდე, აგრეთვე, ზოგადად ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი. მასში ბუნებრივად არის შერწყმული ღრმა სერიოზულობა და ბავშვურობა. თავისი კომპოზიციების შესრულებისას, ცოტნე, როგორც ზრდასრული პროფესიონალი, ჩაფლულია მუსიკის სამყაროში. დაამთავრებს თუ არა დაკვრას, წამსვე გადაიქცევა ჩვეულებრივ ბავშვად და ჩვენ წინაშე არის 10 წლის მშვენიერი, სახენათელი ბიჭუნა.

საინტერესოა, აგრეთვე, ერთი გარემოება. კერძოდ, მის პიანისტურ რეპერტუარში უჩვეულოდ პრიორიტეტულია საუკუნის და უახლესი მუსიკა, ნაწარმოები შერჩეულია არა მხოლოდ პედაგოგიური, ესთეტიკური და ინტელექტუალური მოსაზრებით, არამედ მისი ასაკის და ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამავე დროს, საკუთარ ნაწარმოებებში ის თავისი პატარა ხელებით თავისუფლად უმკლავდება გაცილებით უფრო რთულ საფორტეპიანო ფაქტურას.

მაგრამ, ჩემი აზრით, უმთავრესი გამოვლინება მისი გამორჩეული მუსიკალობისა, არის კაშკაშა საკომპოზიტორო ტალანტი. ცოტნეს თხზულებების მუსიკალური ენა თანამედროვეა, ორიგინალური, სტილისტურად განსხვავებული და მრავალფეროვანია. ის შესაშინავად გრძნობს და აგებს ფორმას, დამაჯერებელია მისი კომპოზიციების დრამატურგია. მაგრამ, სრულიად განსხვავებულია მისი აზროვნების იშვიათი პოლიფონიურობა, რაც წარმოსახვის, აღქმისა და გადმოცემის რთულ, ზუსტ კოორდინაციას მოითხოვს. ეს არ არის ნასწავლი და საკომპოზიციო ტექნიკის საფუძვლიანი ცოდნით მიღწეული, არამედ მის საერთო დიდი მუსიკალური ტალანტის უმნიშვნელოვანესი წახნაგი, რაც თანდაყოლილია და ღვთისგან ნაბოძები. ამ ასაკში ამგვარი სიღრმე, მდიდარი ფანტაზია და ორიგინალობა ძალიან დიდი იშვიათობაა და ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ცოტნეს დიდი გზა აქვს გასავლელი და ღვთის წყალობით, იგი თავდაუზოგავად შრომით მიაღწევს სასურველ და სანატრელ მწვერვალებს მუსიკალური ხელოვნების იდუმალ, რთულ სარბიელზე.

**შავლეგ შილაკაძე,**
**კომპოზიტორი, დირიჟორი.**



## YOUTUBE-ის ყველაზე შემოსავლიანი ვარსკვლავი

**რეიტინგის პირველ ადგილს 8 წლის რაიან კაჯი იკავებს. ბავშვი თავის არხზე Ryan's World სათამაშოების მიმოხილვას აკეთებს. წელს მისმა შემოსავალმა 426 მილიონი დოლარი შეადგინა. რაიანი მშობლებთან და დებთან ერთად აშშ-ში, ტეხასში ცხოვრობს და თავისი 22.9 მილიონი გამომწერისთვის ახალ ვიდეოებს ყოველდღე აქვეყნებს.**

მეორე ადგილზე — არხი Dude Perfect-ი (20 მილიონი), მესამეზე კი Nastya (18 მილიონი) გავიდა.

# ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ ახალი ლაურეატები

**17 დეკემბერს უკვე მეცხრედ ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“**

ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრი.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა (თავმჯდომარე **ლია დაუშვილი**) ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზი — „წმინდა ნინოს ჯვარი“ მიაკუთვნა ბატონ **ვაჟა აზარაშვილს**.

ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და ქრისტიანული პოეზიის საინფორმაციო მხარდაჭერისთვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ **სპარტაკ ქობულიას** ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარემ **ზაალ ბოტკოველმა** გადასცა მთავარი პრიზი — „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ფესტივალის ჟიურიმ: **ზაალ ბოტკოველი** (თავმჯდომარე), **მამა ილია ჩიკვაიძე, მაია დიაკონიძე, ნინო ტარყაშვილი**, ფესტივალის მთავარი პრიზი „წმინდა ნინოს ჯვარი“ მიაკუთვნა: **ვაჟა მიროტაძეს**.

ფესტივალის პრიზი „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ გადაეცათ: **თამარ ფარჩუკიძეს, ვანო ჩხიკვაძეს, ფიქრია ჩუბინიძეს, ციური მესხიშვილს, ივეტა პავლიაშვილს.**

ფესტივალის პრიზით „წმინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვდნენ: **თამარ მეტრეველი, მაკა გელაშვილი, ბადრი სულაძე, ელდარ ჭიჭიაშვილი, ბექა ზამთარაძე.**





საფესტივალო შეხვედრები სამების ტაძარში



ფესტივალის დიპლომები გადაეცათ: **თიკა გელაშვილს, ლალი მიქაიას, ირმა ბიძინაშვილს, გულთამზე მარგველაშვილს, ლია ბეჟანიშვილს, მარი ბერუაშვილს, ციცი ფოფხაძე-ხითარიშვილს, როზა ქაშაკაშვილს, ლელა გაფრინდაშვილს.**

აქვე გთავაზობთ ფესტივალის ორი გამარჯვებული ავტორის ლექსს.

### ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო!

ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო,
ქვეყნის მწარე ბედზე მგლოვიარე,
ისევ შენთან მოველ, სანუკვარო,
ცა და ხმელეთი რომ მოვიარე.
ნუთუ სიზმარია ყველაფერი,
ჩუმად ავტირდი და გავიოცე,
მერე შეგევედრე, მუხლმოდრეკით:
ჩემი საქართველო დამილოცე!
შენი წილხვდომილი მიწა-წყლიდან,
დედავ, სანუგეშო სიტყვას ველი,
ცხადად შემომესმა: კურთხეულ
ხართ,
გიხსნით ჭირისაგან ღვთისმშობელი.
ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო,
უნდა გეამბორო, ჩაგჩურჩულო:
როგორ მოენატრე საქართველოს,
თეთრი შროშანივით გაფურჩქნულო!
დედავ, უფლისაო, შეგვეწიე,
დედავ, უფლისაო, მოგვიარე,
ჩემო ნაღვლიანო ღვთისმშობელო,
ჩვენი ტკივილების მოზიარე.
ივერთა მოდგმის წინმყოფელო,
ჩემო ცრემლიანო, ღვთისმშობელო!..

**ვაჟა მიროტაძე**

### პირველი მერცხალი სამთავროში

გაზაფხულის მერცხალის
მერამდენე მოფრენა,
ვაზი, ჯვრად კურთხეული,
მადლით შეიფოთლება.

ღვთის მწყალობელ უბეში
ჟღურტული რომ იფეთქებს,
თაღებს რომ გააღვიძებს,
ბუდეს რომ გაიკეთებს.
ნინო, მოვეახლები,
დაუჭკნობელ სახსოვარს,
შენი ლოცვის ნათელით
გაბრწყინებულ მაყვლოვანს!

ხელისგულზე სანთლები
ცვილის ცრემლებს დაღვრიან —
ღმერთო,
რა სიჩუმეა,
ღმერთო,
რა სიმაღლეა!

**ვანო ჩხიკვაძე**

**სეოკ-ის სესია**

# უკეთ, ვიდრე წინა თამაშებზე!

**„შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესია გაიმართა.**

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ დელეგატებმა პატივი მიაგეს 2019 წელს გარდაცვლილ სპორტსმენთა და სპორტულ მოღვაწეთა ხსოვნას.

შეკრებილთა წინაშე საანგარიშო მოხსენებით წარდგა სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი. მან მიმოიხილა სეოკ-ის საქმიანობა 2019 წელს, ისაუბრა სპორტული წლის მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე:



**„მთელ ქვეყანას მივულოცავ წარმატებულ სპორტულ წელს, რადგან 2019 წელი მართლაც განსაკუთრებული და გამორჩეული გამოდგა**

**მთავარი ამბავი, რა თქმა უნდა, ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული 6 ოქროს მედალია. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა ჩვენი სპორტის ისტორიაში, საბჭოთა პერიოდის გათვალისწინებითაც კი. წლები ისე გადიოდა, ერთი ჩემპიონიც კი არ გვყოლია, ამჯერად კი ერთბაშად მსოფლიოს 6 ჩემპიონი გვყავს.**

**ამას დაუმატეთ ძალოსნობის ცალკეულ დისციპლინებში აღებული ოქროს მედლები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების სხვადასხვა ხარისხის ათეულობით მედალი, ევროპულ თამაშებზე, პლაჟის პირველ მსოფლიო თამაშებზე, ახალგაზრდულ შეჯიბრებებში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებები და დამყარებული რეკორდები.**

**შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული გამოდგა მინსკის მეორე ევროპული თამაშების შედეგებიც: სპორტის 7 სახეობაში 30 მედალი ავიღეთ, მათ შორის 7 ოქროს მედალი, საერთო ჩათვლაში თამაშებში მონაწილე ევროპის 50 ქვეყანას შორის მეექვსე შედეგი გვქონდა, მედლების რაოდენობით კი - მეხუთე. ჩვენ უკან ჩამოვიტოვეთ გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის და სხვა წამყვანი სპორტული ქვეყნების ნაკრები გუნდები. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ თამაშებში მონაწილე საქართველოს ყოველმა მეორე სპორტსმენმა მედლის მოპოვება შეძლო. ჩვენ კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ძალა შეგვწევს ღირსეული კონკურენცია გავუწიოთ უძლიერეს გუნდებს და მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლოთ. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ საქართველო ერთ-ერთი მოწინავე სპორტული ქვეყანაა ევროპაში.**

**ჩვენ ვფიქრობთ, რომ კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს სპორტის დაფინანსება, რათა არ შეფერხდეს წინსვლის დინამიკა და არ მოგვიწიოს უკვე დაძლეული სიმაღლეების დათმობა. პირიქით — ჩვენ ახალი სპორტული სიმაღლეები უნდა ავიღოთ!**

**და ეს უნდა გავაკეთოთ უკვე ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე.**

**7 თვე რჩება ზაფხულის XXXII ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე. 2020 წლის 24 ივლისს ტოკიოში სტარტს აიღებს ოთხწლეულის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება, რომელსაც ყველანი ინტერესით და იმედით მოველით. ჩვენი ოპტიმიზმი ეფუძნება ქართულ სპორტში დღეს არსებულ რეალურ ვითარებას, მათ შორის იმ შედეგებს, რომლებიც გასულ სპორტულ სეზონში მოვიპოვეთ. ჩვენ წინ გველოდება ოლიმპიური სალიცენზიო ტურნირები, შემდგომში კი - უშუალოდ ოლიმპიური სტარტები. ჩვენ ახალი ძალითა და ენერგიით უნდა გავაგრძელოთ მუშაობა იმისათვის, რომ იაპონიაში ღირსეულად წარვადგინოთ ჩვენი ქვეყანა.**

**სეოკ-ის დევიზი უცვლელია: „უკეთ, ვიდრე წინა თამაშებზე!“**

ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შესახებ სესიის დელეგატებს ინფორმაცია წარუდგინა სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ტოკიო-2020-ზე საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელმა **ელგუჯა ბერიშვილმა.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

**„ელ კლასიკო“**

# ომი და მშვიდობა

**ორთვიანი დაგვიანებით, „კამპ ნოუზე“, ბოლოს და ბოლოს, მაინც გაიმართა პოლიტიკური ვნებათაღელვის გამო გადადებული „ელ კლასიკო“, თუმცა, მატჩამდეც, თამაშის დროსაც და მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგაც სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვლენები ისე დრამატულად ვითარდებოდა, გამორიცხული იყო, ამას ასახვა უშუალოდ მინდორზე არ ეპოვა. ასეც მოხდა — კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეთა აგრესიულობა ქალაქის ინფრასტრუქტურის რბევასა და პოლიციაზე განხორციელებულ იერიშში გადაიზარდა, სამართალდამცველთა საპასუხო ქმედებებს კი რეზინის ტყვიებით პროტესტანტთა დაჭრა, დაკავება და დაშლა მოჰყვა.**

ბუნებრივია, ამბოხებულ თანამემამულეთა გვერდით, შესაძლებლობის ფარგლებში, ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრებიც დადგნენ და 55-ე წუთზე წინააღმდეგობის მოძრაობის დაკავებულ ლიდერთა მიმართ სოლიდარობის ნიშნად და მათი გათავისუფლების მოთხოვნისადმი მხარდაჭერის მიზნით ბურთები ისროლეს.



ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ასეთ არასაფეხბურთო ფსიქოლოგიურ ატმოსფეროში „ბარსელონა“ უჩვეულოდ დათრგუნვილი გამოიყურებოდა და სოლიდურ უპირატესობას, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, „რეალი“ ფლობდა, თუმცა, 17-წლიანთა პაუზის შემდეგ პირველად, მეტოქენი მაინც „მშრალად“ დაშორდნენ ერთმანეთს — 0:0.

ასე რომ, ესპანურ გრანდთა ისტორიულ ქიშპში თანაფარდობა შენარჩუნდა — ორივეს 74-74 შეხვედრა აქვს მოგებული, ოღონდ ეს მხოლოდ პრიმერა-დივიზიონს ეხება, თორემ დანარჩენი ბრძოლების საერთო ბალანსი მასპინძელთა მინიმალურ უპირატესობაზე მეტყველებს.

დავძენთ, რომ სტუმართა კაპიტან სერხიო რამოსისთვის ეს სარეკორდო — 43-ე „ელ კლასიკო“ გახლდათ (სხვათა შორის, იგი წითელ-ყვითელი ბარათებითაც „საუკეთესოა“), ხოლო „სამეფო კლუბის“ ფრანგი თავკაცი ზინედინ ზიდანი კოლეგათაგან პირველია, ვინც „ბარსასთან“ მწვრთნელის ამპლუაში ზედიზედ მეხუთე დაუმარცხებელი გასვლითი ჯახი გადაიტანა (2 მოგება და 3 ფრე).

**ლიდერთა ჯგუფი 17 ტურის შემდეგ:** „ბარსელონა“, „რეალი“ — 36-36, „სევილია“ — 31 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა“ — „ალავესი“, „მალიორკა“ — „სევილია“ (21 დეკემბერი), „რეალი“ „ბილბაო“ (22 დეკემბერი).

**ბომბარდირები:** მესი („ბარსელონა“), „ბენზემა“ („რეალი“) — 12-12 გოლი.

* * *

პირენეებზე დანთებულმა ცეცხლმა გარკვეულწილად დაჩრდილა ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიმდინარე მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, სადაც უკვე გამოვლინდნენ ფინალისტები.

„ფლამენგო“ — „ალ ჰილალი“ 3:1, „ლივერპული“ — „მონტერეი“ 2:1.

გამარჯვებულთა სატიტულო მატჩი ხვალ გაიმართება.

**გიორგი შოთაძე**

**ვარსკვლავი**

# ალინა ზაგიტოვა: „ჩემი ფიგურული გზა გრძელდება...“

**ბოლო დროს ქალთა ფიგურული სრიალის მსოფლიო ელიტაში ერთგვარი მითქმა-მოთქმაა ატეხილი სპორტის ამ ულამაზესი სახეობის ერთ-ერთი უკაშკაშესი ვარსკვლავის, თანაც გამორჩეული გარეგნობის ალინა ზაგიტოვას მიერ კარიერის დასრულების თაობაზე.**

ფიგურულ სრიალში გრან-პრი-2019-ის გათამაშებაში ალინა ზაგიტოვამ მეექვსე ადგილი დაიკავა, რის შემდეგ, რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის ეთერში განაცხადა, რომ გამოტოვებს ქვეყნის ჩემპიონატს (25-29 დეკემბერი), რომელიც, ამავდროულად, საერთაშორისო ასპარეზობებისთვის შესარჩევი ტურნირია.

— შერჩევის გარეშე მე არც ევროპის, არც მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობის პრეტენზია არა მაქვს, — განაცხადა ალინა ზაგიტოვამ. — საერთოდაც, ამ დონის შეჯიბრებებში მონაწილეობას მუდამ შერჩევის შედეგებისდა მიხედვით ვიღებდი.

ამასთან დაკავშირებით, ფიგურული სრიალის ცნობილმა მწვრთნელმა ტატიანა ტარასოვამ ეჭვი გამოთქვა ალინა ზაგიტოვას დიდ სპორტში დაბრუნების თაობაზე, მეორე ცნობილმა სპეციალისტმა ევგენი პლიუშჩენკომ კი ივარაუდა, რომ მოციგურავე შესაძლოა სხვა მწვრთნელთან გადავიდეს. ორი კოლეგის გამონათქვამებთან დაკავშირებით, ალინა ზაგიტოვას მწვრთნელ, ჩვენს თანამემამულე ეთერ თუთბერიძეს უაღრესად მკვეთრი რეაქცია ჰქონდა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, „ვალში“ არც ისინი დარჩენილან.



ამდენად, ამტყდარი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის გამო, ალინა ზაგიტოვა იძულებული გახდა, კიდევ ერთი განცხადება გაეკეთებინა:

— სხვა მწვრთნელთან გადასვლაზე და, მით უმეტეს, სპორტული კარიერის დასრულებაზე, არც კი ვფიქრობ. მე, როგორც ნებისმიერი დონის შეჯიბრებებში პირველი ადგილების მთლობელ სპორტსმენს, ბუნებრივია, კვლავაც მინდა, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვიდგე, საამისოდ კი უფრო მეტი და გაცილებით ინტენსიური ვარჯიში მჭირდება.

მე განვაგრძობ „ჩემს ფიგურულ გზას“ ისევ ჩემი მწვრთნელის დახმარებით, — აღნიშნა სპორტსმენმა.

როგორც ამბობენ, შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღებაში პაუზის გამოყენებას ალინა ზაგიტოვა „საკუთარი თავის ძიებისა და ახალი ელემენტების სწავლებისთვის“ აპირებს.

**ნინო ალექსანდრია**

**მხარე**




# ქუჩის რაგბი სამეგრელოში

**საქართველოს რაგბის კავშირის პროექტი „ქუჩის რაგბი“ დიდი ხანია დედაქალაქის ფარგლებს გასცდა და ზესტაფონი, თელავი და შიდა ქართლი მოიარა, ამ უქმეებზე კი სამეგრელოს ესტუმრება.**

ხვალ მოქმედი და ვეტერანი მორაგბეები, მათ შორის „ბორჯღალოსნები“ ხობს ეწვევიან და ცენტრალური სტადიონის მიმდებარედ ადგილობრივებს ქუჩის რაგბის აზიარებენ.

ტრადიციისამებრ, თავდაპირველად გამოცდილი მორაგბეები იბურთავებენ, წესების გაცნობის შემდეგ კი თამაშში იქაურებიც ჩაერთვებიან. იმისათვის, რომ ქუჩის რაგბი ხობშიც პოპულარული გახდეს, ადგილობრივებს საჩუქრად ბურთები და ქუჩის რაგბის წესები გადაეცემათ.

**კობა კობახიძე**

## გახსენება

# გურამ ღურწკაია



გამორჩეული ზუგდიდელის, ავტოსატრანსპორტო საქმის ცნობილი ორგანიზატორის, სამაგალითო მოქალაქისა და მეგობრის **გურამ ომარის ძე ღურწკაიას** გარდაცვალებიდან 20 და დაბადებიდან 80 წელი სრულდება.

იგი, სიცოცხლით სავსე, ადრეულ ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან. მიუხედავად ამისა, მან დატოვა დიდი სიყვარული და აღიარება. უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია სატრანსპორტო სისტემის განვითარებას. მან წარმატებით იღვაწა და რიგითი ინჟინრიდან მხარის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის თანამდებობას მიაღწია, იყო კარგი ორგანიზატორი და მრავალი სიახლის ინიციატორი.

საწარმო გაერთიანებამ, რომელსაც ის წლების განმავლობაში ედგა სათავეში, დიდი წვლილი შეიტანა რეგიონის მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და ენგურჰესის უნიკალური მშენებლობის დამთავრების საქმეში.

ბატონი გურამი ფართო დიაპაზონით, ქცევით, მოქმედებით ქვეყნის პატრიოტი და რაინდული სულის პიროვნება გახლდათ. უფალმა მას უშურველად მომადლა ფიზიკური აღნაგობა, კეთილშობილება და  უღალატო მეგობრობის ნიჭი.

გურამ ღურწკაიას დარჩა შესანიშნავი ოჯახი, რომლის ტრადიციებს დღესაც სასახელოდ აგრძელებს მისი მეუღლე, ცნობილი ექიმ-პედიატრი, ქალბატონი ლუარა გერგაია. საზოგადოების დიდი სიყვარულით სარგებლობენ მისი სასახელო შვილები პაპუნა (ომარი) და ლაშა ღურწკაიები. დიდი ბაბუის ხსოვნას მოკრძალებით ატარებენ გულში და დიდ პატივს მიაგებენ მისი საყვარელი შვილიშვილები.

ჭეშმარიტი მამულიშვილი, ჭირსა და ლხინში მოძმეთა თანამდგომი, უზადო მასპინძელი, რაინდული შემართების ვაჟკაცი, რომელსაც უკან დახევა არ სჩვეოდა — ასეთად გვახსოვს და გვემახსოვრება ბატონი გურამი მის ახლობლებსა და მეგობრებს.

ძალზე დასანანია, რომ იგი ნაადრევად დააკლდა საყვარელ ზუგდიდსა და სრულიად სამეგრელოს.

**უახლოესი მეგობრები**



აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი

# ალექსანდრე (ალიკა) ლევანის ძე მაჭავარიანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1965 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა „ჩაჩავას კლინიკაში“. ბატონი ალექსანდრე წლების მანძილზე პირნათლად ემსახურებოდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ის მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი იყო, მის მიერ შესწავლილი სანაყოფე წყლების ბიოქიმიური შემადგენლობა, ამნიოსკოპია, მშობიარობისშემდგომი ჩირქოვან-სეპტიკური გართულებები დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

წავიდა ჩვენგან კეთილშობილი, უაღრესად ერუდირებული ადამიანი, ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი, მაჭავარიანების დიდი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი, კარგი მეგობარი და პროფესიონალი ექიმი.

ბატონი ალექსანდრე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი და ბევრი მოგონება.

უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მარადიულ სასუფეველში. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

რამაზ, თემურ ხუროძეები ოჯახებით  ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

## არჩილ ბორჯაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ  განსვენებულის ოჯახს.

---

თემურ ჯორბენაძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

## არჩილ ბორჯაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# იცით თუ არა, რომ...



● **იაპონიის** იმპერატორი ქალღმერთ ამატერასუს შთამომავლად ითვლება?

● იემენის გერბზე ყავის ხეა გამოსახული?

● სარელაქსაციო, ანუ მოსადუნებელ მუსიკას „ლაუნჯი“ ეწოდება?

● ვაშლებისა და ბანანების არომატი გახდომას უწყობს ხელს?

● დიდი ამერიკელი მწერალი მარკ ტვენი მთელი ცხოვრება დიდი გატაცებით თამაშობდა ბილიარდს ფულზე?

● მსოფლიო ფაუნის წითელ წიგნში შეტანილი და გადაშენების პირზე მისულ ცხოველთა შორის არიან იავის მარტორქა (დარჩენილია 60 ეგზემპლარი), ჟღალი მგელი (250), კალიფორნიული ზღვის გოჭი (30), ამურის ვეფხვი (500), არამფრინავი თუთიყუში კაკაპო (100), თოვლის ჯიქი ირბისი (4 ათასზე ნაკლები)?



● ჩინური მითით, მკვდარი ვეფხვის სული მიწის ქვეშ ქარვად გადაიქცევა?

● მსოფლიოში ყველაზე დიდი დელტა მდინარე განგს აქვს?

● ყველაზე მეტი მგზავრი მსოფლიოში ტოკიოს მიწისქვეშა ტრანსპორტს გადაჰყავს: აქაური მეტროპოლიტენის მომსახურებით 9 მილიონი კაცი სარგებლობს?

● საქვეყნოდ ცნობილი მულტიპლიკატორი, ოსკაროსანი უოლტ დისნეი პრინციპული ანტიკომუნისტი იყო?




● ტეხილი რიტმის მუსიკის ხმაზე კოღოები გაცილებით ნაკლებს იკბინებიან?

● ადამიანის გენომი დაახლოებით 22 ათას გენს შეიცავს?

● არსებობს თეორია, რომლის თანახმად კატები არამიწიერი არსებები არიან, რომელთა წინაპრები, ამავდროულად, ადამიანის წინაპრები იყვნენ?

● უახლოეს 10 წელიწადში დედამიწაზე 500 ყველაზე მდიდარი ადამიანი თავის მემკვიდრეებს 20 ტრილიონი დოლარის ქონებას გადასცემს?



● იაპონიის კუნძულ ოკონოსიმაზე ქალებს საერთოდ აქვთ აკრძალული ფეხის დადგმა?

● დუბაიში მეტროპოლიტენის მატარებლებს არა მემანქანეები, არამედ კომპიუტერები მართავენ დისტანციურად?

● მსოფლიოში ყველაზე ძნელად შესასწავლ ენად თაბასარანული ითვლება, რომელშიც 46 ბრუნვაა?

● საჭმლის გარეშე ადამიანმა შეიძლება 21 დღე გაძლოს, სასმელის გარეშე — 10 დღე, უძილოდ კი — მხოლოდ 5?

---

# ლიბიაში გათავისუფლებული ქართველი მეზღვაურები სამშობლოში დაბრუნდნენ

**ქართველ მეზღვაურებს სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს ვიცეკონსული დახვდა. 2017 წლის 30 აგვისტოს ლიბიაში დაკავებული ტანზანიის დროშის ქვეშ მცურავი გემის „REX“ ეკიპაჟის ორი ქართველი მეზღვაური, გემის კაპიტანი გენადი კომახიძე და მეორე თანაშემწე რომან კაკალაძე, პატიმრობიდან მიმდინარე წლის 17 დეკემბერს გათავისუფლდნენ.**

მეზღვაურების გათავისუფლების საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, საქართველოს საელჩო თურქეთის რესპუბლიკაში, საქართველოს საელჩო უკრაინაში და ნიუ-იორკში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა.

უწყების მიერ, საზღვაო ადმინისტრაციასთან კორდინირებით გატარებული კომპლექსური სამუშაოების შედეგად მეზღვაურების გათავისუფლება მოხერხდა.



2017 წელს გემის „REX“ დაკავებული ეკიპაჟის 11 წევრიდან, სამი საქართველოს მოქალაქე იყო: გენადი კომახიძე, რომან კაკალაძე და მეზღვაური ნუკრი ხოხბა, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებოდნენ ქ. ტაჯურას დამანის ციხეში (Dhaman Prison in Tajura).

ამათგან ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი ნუკრი ხოხბა, ასევე სახელმწიფოს მხრიდან გატარებული აქტიური ქმედებების შედეგად 2018 წელს გათავისუფლდა.

# ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ



**უახლოესი მეგობრები ᲗᲘᲜᲐ ᲯᲚᲐᲛᲐᲫᲔ, ᲒᲘᲕᲘ ᲐᲑᲓᲣᲨᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐ, ᲑᲐᲙᲣᲠ ᲒᲣᲚᲣᲐ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲧᲝᲚᲑᲐᲘᲐ, ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ, ᲚᲝᲜᲓᲔᲠ ᲪᲐᲐᲕᲐ, ᲯᲔᲛᲐᲚ ᲙᲕᲘᲠᲢᲘᲐ, ᲯᲐᲛᲑᲣᲚ ᲬᲣᲚᲐᲘᲐ, ᲓᲔᲛᲘᲙᲝ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ, ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲠᲝᲒᲐᲕᲐ, ᲐᲜᲖᲝᲠ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ, ᲚᲔᲠᲘ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ, ᲝᲗᲝ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ, ᲙᲐᲮᲐ ᲐᲠᲓᲘᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲣᲤᲣᲜᲘᲐ, ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲨᲘᲚᲐᲕᲐ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲘᲭᲘᲜᲐᲕᲐ, ᲞᲔᲢᲠᲔ ᲣᲑᲔᲠᲘ, ᲒᲘᲕᲘ ᲡᲝᲡᲔᲚᲘᲐ, ᲡᲝᲡᲝ ᲡᲝᲡᲔᲚᲘᲐ, ᲚᲔᲠᲘ ᲯᲘᲫᲘᲐ, ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲓᲒᲔᲑᲣᲐᲫᲔ, ᲨᲐᲥᲠᲝ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲠᲢᲐᲕᲐ, ᲐᲓᲘᲙᲝ ᲒᲕᲐᲚᲘᲐ, ᲗᲔᲛᲣᲠ ᲡᲣᲠᲒᲣᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲘᲥᲐᲕᲐ, ᲔᲜᲕᲔᲠ ᲩᲘᲥᲐᲕᲐ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲗᲐᲜᲐᲕᲐ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ვულოცავთ ერის სასახელო შვილს, ღირსეულ პიროვნებას, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, მშობლიური სამეგრელოსა და ერთიანი საქართველოსათვის დაუღალავ მებრძოლს, უკეთილშობილეს ადამიანს**

# ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲣᲜᲐᲕᲐᲡ

**ჯანმრთელობა და ბედნიერება ნუ მოგაკლოთ ღმერთმა ჩვენო გურამ, მუდამ ასეთი ენერგიული გვენახე, შემტევი, ინიციატივიანი და პირდაპირი, როგორც გიცხოვრია და გიმოღვაწია ცხოვრების მანძილზე. ღმერთი იყოს თქვენი, თქვენი ოჯახისა და სამშობლოს მფარველი.**

## ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲡ ᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲬᲐᲚᲔᲙᲐᲕᲔᲜ

**ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ 2020 წელს თურქეთიდან თავშესაფრის მაძიებელთა მორიგ ნაკადს ელოდება და ვარაუდობენ, რომ ასეთი ადამიანების რაოდენობა 100 ათასს მიაღწევს, რაც კიდევ უფრო გადატვირთავს, ისედაც დატვირთულ მიგრანტთა ბანაკებს.**

„კრიზისი უკვე არის და ის სერიოზულია", — განაცხადა სახელმწიფო კომისარმა მიგრაციის საკითხებში მანოს ლოგოთეტისმა.



ბოლო 6 თვის განმავლობაში საბერძნეთში 45 ათასამდე მიგრანტი ჩავიდა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე მეტია, როდესაც სირიაში სამოქალაქო ომი დაიწყო.

ამ დროისთვის თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ გაკეთებულ განაცხადზე პასუხს 41 ათასი მიგრანტი ელოდება და ისინი ცხოვრობენ ლესბოსის და სამოსის კუნძულზე მდებარე მიგრანტთა ბანაკებში.

## ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ ᲛᲨᲘᲔᲠᲘ ᲖᲦᲐᲠᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ

**ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ზღარბები შიმშილობენ, ამის მიზეზი წვიმიანი ზაფხული გახდა, რის გამოც ისინი გვიან გამრავლდნენ. შემოდგომაზე კი დედა ზღარბებმა, პატარების გამოკვება ვერ შეძლეს. ამიტომ ზღარბები ტყიდან გამოვიდნენ და ქალაქების ქუჩებში დაიწყეს გადაადგილება. თუმცა ცნობილია, რომ ზღარბი ღამე უფრო აქტიურია.**



ზღარბებს დღე შიმშილი არ აძინებთ და საკვების საძებნელად ქუჩებში დადიან. უკვე ცნობილია, რომ სექტემბრიდან ცხოველების გადარჩენის ცენტრში სასტიკი მოპყრობის გამო 1000-მდე ზღარბი მოხვდა. კლინიკა გადავსებულია. ამიტომ ცხოველთა დამცველები მოუწოდებენ მოქალაქეებს, რომ ზღარბები შიმშილით სიკვდილისგან იხსნან და ძაღლებისთვის განკუთვნილი კონსერვებით გამოკვებონ.

## ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ...



**ᲛᲘᲩᲘᲒᲐᲜᲘᲡ შტატის ქალაქ ჯექსონში მცხოვრებმა ცოლქმარმა ქორწინებაში 70 წელი გაატარა და 20 წუთის სხვაობით ერთ ჰოსპისში გარდაიცვალა..**

ლეს და ფრედ ოსტინებმა ერთმანეთი სკოლაში სწავლისას გაიცნეს. მათ პირველი პაემანი გამოსაშვებ ზეიმზე ჰქონდათ, 1949 წლის ნოემბერში კი დაქორწინდნენ.

ლესი აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში მსახურობდა, შემდეგ კი მუშაობა მიჩიგანის პოლიციაში გააგრძელა, რაც შეეხება ფრედს, ის მრავალი წლის განმავლობაში კომპანია Brail Dry Cleaning-ის მენეჯერად მუშაობდა.

მიმდინარე წლის ნოემბერში წყვილმა ქორწინების 70 წლის იუბილე აღნიშნა.

## ᲑᲠᲘᲜᲯᲐᲝᲡ ᲮᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲘ

**ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲛᲐ საბერძნეთში ბრინჯაოს ხანის ორი სამეფო საფლავი აღმოაჩინეს, რომელშიც ძვირფასეულობა და არტეფაქტებია. საფლავი 3000 წლით თარიღდება.**



აღმოჩენებს შორის არის ოქროს ბეჭედი და ყელსაბამი, ერთზე — ხარები, მეორეზე კი ეგვიპტური ქალღმერთია გამოსახული. ამერიკელი მკვლევარების თქმით, ეს აღმოჩენა მიკენური ვაჭრობისა და კულტურის შესახებ სპეციალისტებს ინფორმაციას მისცემს.

მეცნიერები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ოქროს ბეჭდით, რომელზეც ხარები არიან გამოსახულები, ბეჭედზე დატანილია ასევე მარცვლეულის თავთავი, რაც სპეციალისტების აზრით სოფლის მეურნეობის საწყისებზე მიუთითებს.

## ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲦᲣᲖᲔᲑᲘ

**ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ყურეს სანაპიროსთან ესპანური გემების ორი ღუზა აღმოაჩინეს.**

რკინის ღუზები 500 წლისაა და, სავარაუდოდ, ერნან კორტესის ფლოტის გემებს ეკუთვნოდა, რომელმაც მე-16 საუკუნეში აცტეკების იმპერია დაიპყრო.

ღუზები საპორტო ქალაქ ვერაკრუზთან აღმოაჩინეს. 1519 წელს კორტესის ფლოტი სწორედ ამ ადგილას გაჩერდა, მოგვიანებით კი მან გემები გაანადგურა, რათა მის ხალხს ექსპედიცია არ დაეტოვებინათ.

არქეოლოგებს იმედი აქვთ, რომ აღმოჩენა მათ კონტინენტზე ესპანელების შეჭრის შესახებ ახალ ინფორმაციას მიაწვდით. მათი თქმით, კორტესის ფლოტი კულტურების შერწყმის სიმბოლოა, რომელიც დასავლეთის კულტურის საფუძვლად იქცა. ამიტომ გემების ნამტვრევების აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია.



## ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„ᲙᲝᲚᲝᲠ ᲞᲠᲔᲡᲨᲘ"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ"
ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ:
„ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ"
577 991651
577 308847
ᲨᲞᲡ „ᲛᲐᲪᲜᲔ"
599 982777
„ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲤᲝᲠᲢᲔ"
579 799908

**ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:**
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.9055; ᲔᲕᲠᲝ - 3.2356;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.8082;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.6421; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.4922;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.7135;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.0797.

**ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 20 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: | | | | |
| ᲑᲐᲠᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | +5, | ᲓᲦᲔ | +18 |
| ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | -4, | ᲓᲦᲔ | +15 |
| ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: | | | | |
| ᲑᲐᲠᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | +4, | ᲓᲦᲔ | +18 |
| ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - | ᲦᲐᲛᲔ | -1, | ᲓᲦᲔ | +15 |
| ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: | ᲦᲐᲛᲔ | +7, | ᲓᲦᲔ | +15 |

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge